№ 93 / 13 - 19 ოქტომბერი /2011 ფასი 2 ლარი

ლიბერალი

მთავარი თემა:

ბიძინა ივანიშვილი - ახალი პოლიტიკური ჩეკლობა

რეპორტაჟი
ჭოჩვილა - ივანიშვილის სამფლობელო
გვ. 22

კომენტარი
ნუ ასყუებთ სტუდენტებს!
გვ. 12

ჟურნალისტური გამოძიება
ნამება თუ ძალაუფლების გადამეტება?
გვ. 40

ფოტორეპორტაჟი
ჩოთველი
გვ. 44

ISSN 1987-7528
9 771987 752008

© Khatia Psuturi

ლიბერალი

№ 93 / 13 - 19 ოქტომბერი /2011

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორი
სოფო ბუკია

რედაქტორი /საზოგადოება/
თამარ ბაბუაძე

ჟურნალისტური გამოძიება
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, მარკ მალენი, გიორგი მარგველაშვილი, ვასო კუჭუხიძე, კახა თოლორდავა, თემო ბარძიმაშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ლონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი:
ქეთევან ბაბუნაშვილი,
გაყიდვების და ბიზნესის განვითარების მენეჯერი:
რუსუდან ბარათაშვილი,
კლიენტთა მომსახურების და დისტრიბუციის მენეჯერი:
ნათია რუსაძე,
გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

www.liberali.ge

რედაქტორისგან

ბიძინა ივანიშვილის პირველ განცხადებას პოლიტიკური საქმიანობის დაწყების შესახებ თავში ხელის ცემით შევხვდი. კიდევ ერთი ოლიგარქი ქართულ პოლიტიკაში და დიდი ფული, რომელიც პოლიტიკურ პროცესს ანაცვლებს, თავისთავად არაჯანსაღი მოვლენაა.

არაჯანსაღი მოვლენაა ისიც, რომ საჯარო პოლიტიკაში სერიოზული ამბიციებით მოდის ბიზნესმენი, რომლის შესახებაც მხოლოდ ლეგენდები ვიცით. მას ბოლო დრომდე არ ჰქონია არცერთი საჯარო გამოსვლა და ყველა მედია საშუალება, რომელიც მის შესახებ საუბრობს, იმ ორიოდ ფოტოს ატრიალებს, რომელიც ვირტუალურ სივრცეში იძებნება.

რა ვიცით? ვიცით ივანიშვილის რუსული კაპიტალის არსებობა, მაგრამ არ ვიცით მისი კავშირების შესახებ რუსეთის ხელისუფლებასთან. არც ის ვიცით, ვინ იქნება მისი პოლიტიკური გუნდი ან კონკრეტულად როგორ პოლიტიკურ პორტფელს შემოგვთავაზებს. ამის მიუხედავად, 5-წლიანი მეცენატური საქმიანობის წყალობით, ივანიშვილი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კაპიტალით – ხალხის კეთილგანწყობითა და ნდობით სარგებლობს. ეს კეთილგანწყობა ციფრებში როგორ აისახება, ჯერ უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკური კრიზისის, უმუშევრობისა და, ზოგადად, მძიმე სოციალური პირობების ფონზე 5,5-მილიარდიანი ქონების მფლობელს ამ ციფრების გაზრდა არ გაუჭირდება.

წინაგანწყობებისა და პირველი რეაქციების გადავლის შემდეგ „მომაგონდა“, რომ ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი ისედაც არ მიდის. უფრო მეტიც, თითქმის არანაირი პოლიტიკური პროცესი აღარ მიდის, თუ არ ჩავთვლით ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების კონსოლიდაციისაკენ მიმართულ პროცესებს. ერთპიროვნული მმართველობისა და მონოპოლიზირებული ბაზრის პირობებში, არსაიდან ჩანდა სტატუს ქვოს გამრღვევი იდეა თუ რესურსი. ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმაც თითქოს არჩევანი სტაბილურობის და არა დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთეს.

ივანიშვილი ნამდვილად შეიძლება იყოს ეს „გამრღვევი“ იდეა – როგორც მინიმუმ, ნაციონალურ მოძრაობას გამოუჩნდება რეალური კონკურენტი და ხელისუფლების ცალ კარში თამაშის ყურებაც აღარ იქნება ასეთი ტრაგიკული და მოსაწყენი. თუმცა, რა გაირღვევა და საით – ამას ოლიგარქის კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯები გამოავლენს.

შორენა შავერდაშვილი

ფოტო: გბაბ წულუკარი

ლებენდარული ოლიგარქი საჯარო პოლიტიკაში

სააკაშვილის ყველაზე ამბიციური პროექტების მთავარი დამფინანსებლისა და ამავდროულად, პუტინთან კარგი ურთიერთობების მქონე ოლიგარქის პოლიტიკაში წასვლა ათასგვარ ეჭვებსა და კითხვებს აჩენს. აშკარაა, რომ თუ ბიზნესმენი, რომლის ქონებაც საქართველოს ბიუჯეტზე თითქმის ორჯერ მეტი – 5,5 მილიარდი დოლარია, პოლიტიკაში მართლაც მოვა, ეს ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ვითარებას თავდაყირა დააყენებს.

ამავე თემაზე ქართველი ოლიგარქის მშობლიურ სოფელ ჭორვილადან რეპორტაჟი – „ივანიშვილის სამფლობელო“.

მთავარი თემა
გვ.16–27

ნე ატყუებთ სტუდენტებს!

ფოტო: ანნა ჯანელიძე

სტუდენტისთვის თავისუფალი არჩევანი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის გადასახადში მკვეთრი სხვაობის გამო არ არსებობს.

ნებისმიერი უნივერსიტეტი ცდილობს, სტუდენტებს საუკეთესო სერვისი შესთავაზოს. კერძო უნივერსიტეტებმა კარგად იციან – თუ სტუდენტების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, ფინანსურად დაზარალდებიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა კი იცის, რომ მის სტუდენტებს რეალური არჩევანი არ აქვთ და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ფიქრით თავს დიდად არ იწუხებს.

გიორგი ცხადაიას თვალსაზრისი
გვ.12

ნამება თუ ძალაუფლების გადამეტება?

საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში პატიმრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები კვლავ ხდება. ნაცვლად წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისა, სისხლის სამართლის საქმეები ძალაუფლების გადამეტების მუხლითაა აღძრული.

2010 წლის 19 აგვისტოს დაბა ქსნის საპყრობილეში ხმაური გაისმა. როგორც მოგვიანებით ქსანში მყოფმა მსჯავრდადებულებმა წერილობით აღწერეს, იმ დღეს ციხეში სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები შევიდნენ და პატიმრებს სცემეს. მათი თქმით, განსაკუთრებულად სასტიკად გაუსწორდნენ იმ ტუსაღებს, ვისაც საკუთარი საქმე სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჰქონდათ გასაჩივრებული. მათი თქმით, ცემაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მოადგილე და რეჟიმის უფროსი.

„სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება
გვ.40

ახალი პოლიტიკური ჰეალობა

თუ ივანიშვილი რუსული Soft Power პროექტია, არის შანსი, რომ ეს პოზიტიური მოვლენა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის. ეს არის შემთხვევა, როდესაც რუსეთი გვთავაზობს, უფრო სწორად, ცივილიზებულ სამყაროს სთავაზობს ე.წ. Soft Power Solution-ს, ანუ არა ტანკებით და არა ემბარგოებით, არამედ ქართულ პოლიტიკაში წარმოდგენას მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალის სახით.

გიორგი მარგველაშვილის კომენტარი
გვ.28

ფოტორეპორტაჟი

მოხიბი ითვალი ძვალი ჰოობლემებით

ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

თემო ბარძიმაშვილის ფოტორეპორტაჟი
გვ.44–51

ასევე ნომერში:

ილუსტრაცია გარეკანზე
ბესარიონ ფულეშვილი

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
08 **ორი აზრი**
უნდა ჰქონდეს თუ არა პროკურატურას პირადი საბანკო ანგარიშების მონიტორინგის უფლება?
კახა ანჯაფარიძე VS ლევან ვეფხვაძე
კომენტარი
10 სოციალიზმი კაპიტალისტებისთვის, კაპიტალიზმი ყველა დანარჩენისთვის
მარკ მალენი
ინტერვიუ
14 „დაფიქრდით, როგორ გარემოში გინდათ ცხოვრება“
რობერტ მელნიკი
პოლიტიკა
30 სიმბოლური ვიზიტი
33 **აღმოსავლეთ პარტნიორობა**
ვარშავის სამიტი – ორდღიანი დიპლომატიური ჭიდილი
ეკოლოგია
36 წითელი ნუსხა საფრთხეშია
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
52 ქაქი

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ვმო-ზე მოლაპარაკება არ შედგა

შვეიცარიის შუამავლობით საქართველოსა და რუსეთს შორის მსოფლიოს ვაჭრობის ორგანიზაციაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. ამის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ 10 ოქტომბერს განაცხადა. „რუსეთი უარს აცხადებს იმ ელემენტარულ მინიმუმზეც კი, რაც აუცილებელია შესრულდეს მისი მხრიდან, ანუ დააკმაყოფილოს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ელემენტარული მოთხოვნები“, – განაცხადა მან.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ თუ რუსეთის პოზიცია უცვლელი დარჩება, მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდის გამართვის საფუძველი არ არსებობს. რუსული მხარე აცხადებს, რომ თბილისის მოთხოვნები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან კავშირში არ არის.

ქართული მხარე რუსეთისგან საქონელბრუნვაზე ინფორმაციის წინასწარ გაცვლისა და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის დაწესებას მოითხოვს, რათა გამჭვირვალე გახდეს ვაჭრობა სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გასწვრივ რუსეთთან არსებულ საზღვარზე.

პოლონეთში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა

პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებში 9 ოქტომბერს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის დონალდ ტუსკის პარტიამ გაიმარჯვა. ტუსკის „სამოქალაქო პლატფორმამ“ ყველაზე მეტი – 39,18 პროცენტი დააგროვა. მეორე ადგილზე 29,98 პროცენტიანი მხარდაჭერით გარდაცვლილი პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის ძმის, იაროსლავ კაჩინსკის პარტია „სამართალი და სამართლიანობა“ გავიდა. იაროსლავ კაჩინსკიმ არჩევნებში საკუთარი პარტიის მარცხი უკვე აღიარა. პარლამენტში სულ ოთხი პარტია მოხვდება. საპარლამენტო შედეგებით შეიძლება ვივარაუდოთ, პარლამენტში დარჩება მემარჯვენე ცენტრისტული კოალიცია, რომელიც პრემიერ-მინისტრის „სამოქალაქო პლატფორმასა“ და პოლონეთის „სახალხო პარტიას“ აერთიანებს, დონალდ ტუსკი კი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას შეინარჩუნებს. თუკი ეს ვარაუდი გამართლდა, ტუსკი ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც მთავრობის მეთაური, რომელმაც თანამდებობა ორი ვადით შეინარჩუნა.

პუტინის "ევრაზიული ხავშირი"

რუსეთის პრემიერ-მინისტრი და მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი ვლადიმირ პუტინი ძველი საბჭოთა მეზობლებით ახალი ევრაზიული ბლოკის შექმნის იდეით გამოდის. პუტინის აზრით, ეს კავშირი ეკონომიკურ ინტერესებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

„ამ ბლოკმა უნდა განამტკიცოს რუსეთის გავლენა გლობალურ სცენაზე. ევრაზიული კავშირი ბელარუსთან და ყაზახეთთან საბაჟო კავშირს დაეფუძნება“, – ივარაუდა პუტინმა სტატიაში, რომელიც 4 ოქტომბერს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა.

პუტინმა განაცხადა, რომ ის არ საუბრობს საბჭოთა კავშირის რაიმე ფორმით აღდგენაზე, მაგრამ აუცილებელია ახალი ინტეგრაცია დაფუძნებული ახალი ღირებულებებზე, პოლიტიკასა და ეკონომიკაზე.

„ჩვენ საბჭოთა კავშირიდან დიდი მემკვიდრეობა მივიღეთ – ინფრასტრუქტურა, არსებული სამრეწველო სპეციალიზაცია, საერთო ენობრივი, სამეცნიერო და კულტურული სივრცე. ამ რესურსების ერთობლივი გამოყენება ჩვენი განვითარებისათვის, ჩვენს საერთო ინტერესებში შედის. ჩვენ გთავაზობთ ძლევამოსილი, ზენაციონალური კავშირის შექმნას, კავშირისა, რომელიც შეძლებს თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ საყრდენ სვეტად იქცეს“, – აღნიშნა პუტინმა.

პუტინმა, მოსკოვის ეგიდით, უამრავი ასეთი ჯგუფი შექმნა. მათი მიზანი იმ ძალაუფლების შენარჩუნებაა, რომელიც რუსეთმა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დაკარგა. 2009 წელს რუსეთმა ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად საბაჟო კავშირი შექმნა. მომავალ წელს ეს კავშირი „გაერთიანებულ ეკონომიკურ ზონად“ უნდა გადაიქცეს და გააუქმოს მუშახელისა და კაპიტალის მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერები.

„ასეთი წინადადება იმ კაცისგან, რომელმაც ერთხელ საბჭოთა კავშირის დაშლას „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა, რუსეთის პრემიერ-მინისტრის იმპერიულ ჩანაფიქრებზე მიანიშნებს“, – წერდა „გარდიანი“ 5 ოქტომბრის სტატიაში.

იულია ტიმოშენკო სასამართლომ დამნაშავედ ცნო

კიევის სასამართლომ უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო დამნაშავედ ცნო. ის 2009 წელს რუსეთთან ბუნებრივი აირის საკითხზე კონტრაქტების დადებისას



სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში დაადანაშაულეს და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას „ნეფტოგაზის“ სასარგებლოდ 189 მილიონი დოლარის გადახდაც დაეკისრა.

კიევის პეჩორის მოსამართლემ, როდიონ კირეევმა განაჩენის სამოტივაციო წერილში აღნიშნა, რომ იულია ტიმოშენკომ უკრაინის კომპანია „ნეფტოგაზს“ თითქმის 200 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა.

„ჩემთვის ამგვარი განაჩენის გამოტანით უკრაინა 37-იან წლებში დაბრუნდა“, – განაცხადა ტიმოშენკომ. მან სასჯელს ყალბი უწოდა.

სასამართლოს შენობასთან შეკრებილმა ტიმოშენკოს მომხრეებმა შენობაში შეჭრა სცადეს. უკრაინის უმაღლესი რადას ოპოზიციური ფრაქციის დეპუტატებმა, რომელსაც ვიცე-სპიკერი ნიკოლაი ტომენკო ხელმძღვანელობს, მილიციის კორდონის ნაწილის გარღვევა მოახერხეს, თუმცა მათ სასამართლოს ეზოში შეღწევა მაინც ვერ შეძლეს.

იულია ტიმოშენკომ გადაწყვიტა, პეჩორის სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივროს, რადგან უკრაინული მართლმსაჯულების იმედი არ აქვს.

სტივ ჯობსი გაჩდაისვალა

კომპანია Apple-ის დამაარსებელი სტივ ჯობსი 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნე 2004 წელს დაუდგინეს. სტივ ჯობსის გარდაცვალების ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გარდაცვალების მიზეზი იყო სუნთქვის შეწყვეტა, რაც სიმსივნური დაავადების განვითარებამ გამოიწვია. სტივ ჯობსმა მკურნალობა 7 წლის წინ ჩაიტარა და 2011 წლის აგვისტომდე აგრძელებდა მუშაობას. აგვისტოში მან თანამდებობა დატოვა.

„კომპანია Apple-მა შემოქმედებითი გენია, კაცობრიობამ კი არაჩვეულებრივი პიროვნება დაკარგა. მათ, ვისაც გვქონდა სტივთან მუშაობისა და ნაცნობობის ბედნიერება, დავკარგეთ ძვირფასი მეგობარი. სტივმა დაგვიტოვა კომპანია, რომლის შექმნაც მხოლოდ მას შეეძლო“, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

Apple Computer-ი 1976 წელს სტივ ჯობსმა და სტივ ვოზნიაკმა დააფუძნეს. მიუხედავად მაკინტოშის წარმატებისა, ჯობსმა ერთი წლის შემდეგ დატოვა Apple და ახალი კომპანია Next Computer შექმნა. იმავდროულად მან დააფუძნა ერთ-ერთი უდიდესი ანიმაციური სტუდია Pixar-ი. Apple-ში ჯობსი 1996 წელს დაბრუნდა. ზუსტად ორ თვეში მან iMac-ი შექმნა. ამ პერიოდიდან Apple-ი Microsoft-ის მთავარი კონკურენტი გახდა, ის საკუთარ ოპერაციულ სისტემას იყენებს. 2001 წელს კი ბაზარზე iPod გაჩნდა, რასაც 2007 წელს კიდევ ერთი გადატრიალება iPhone და 2010 წელს iPad მოჰყვა.

სტივ ჯობსის გარდაცვალებას აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც გამოეხმაურა: „მე და მიშელი ძალიან დაგვამწუხრა სტივ ჯობსის გარდაცვალების ამბავმა. სტივი უდიდესი ამერიკელი ნოვატორი იყო, საკმაოდ მამაცი იმისთვის, რომ სხვაგვარად ეფიქრა, საკმაოდ მტკიცე იმისთვის, რომ სამყაროს შეცვლა ერწმუნა და საკმაოდ ნიჭიერი იმისთვის, რომ ეს განეხორციელებინა“, – ობამას განცხადება თეთრმა სახლმა გაავრცელა.

რიცხვები, ციტატები

39,7 პროცენტი იქნება 2012 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ვალის მოცულობა

153 მილიონი ლარით მეტი იქნება 2012 წელს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიუჯეტი

30 მილიონი ლარით გაიზრდება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 2012 წელს აგვისტოს ომის შემდეგ.

18 მილიონი ლარით იზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი

39,18 პროცენტიანი მხარდაჭერით გაიმარჯვა პოლონეთში პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკის პარტიამ „სამოქალაქო პლატფორმა“.

6 აფთიაქს თბილისში სხვადასხვა დარღვევის გამო ლიცენზია ჩამოერთვა

60 პროცენტი მოსახლეობისა **NDI**-ის გამოკითხვებით არ ემხრობა პარლამენტის წევრების 150-დან 190-მდე გაზრდას.

69 პროცენტი **NDI**-ს გამოკითხვებით საკანონმდებლო ცვლილებას, რელიგიური გაერთიანებებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ მხარს არ უჭერს.

10 წელი გავიდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ავღანეთში საომარი ოპერაციის დაწყებიდან

„პარტნიორი და მეგობარი, აი, ვინ უნდა იყოს ან კვლავაც გახდეს რუსეთი საქართველოსთვის“.

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი

„ახლა საქართველოში ძალიან რთული საქმეა, იყო ზომიერი. ჩვენ [„ქდმ“-მ] საქართველოში ახალი პოლიტიკური კულტურა დავნერგეთ, რომელიც კონსტრუქციულობას ეფუძნება და არა დესტრუქციულობას... და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს სტრატეგია სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოში“.

გიორგი თარგამაძე, 6 ოქტომბერი



„ახლა „კონკრეტული ნაბიჯების“ გადადგმის დრო უფროა, ვიდრე ტაქტიკაზე დაუსრულებელი კონსულტაციებისა და მოლაპარაკებებში მონაწილეობის. ჩვენი პარტია აღარ დახარჯავს ძალისხმევას კონსულტაციებზე და სურს პირდაპირ ამომრჩევლებზე გავიდეს“.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია



„პუტინი არსად არ წასულა, მაგრამ რადგან ახლა ოფიციალურად დაბრუნდა, მასთანაც სალაპარაკოდ მუდმივად მზად ვარ. მაგრამ ლაპარაკი ეფუძნება ორი თანასწორი ერის ლაპარაკს და არა იმას, რომ ჰგონია, კუთხეში მიგვაჭედებს, გადაგვივლის, მოგვისყიდის, შიგნიდან ძირს გამოგვითხრის. ვერაფერსაც ვერ გამოგვითხრის. ეგეთები გაგვივლია და ეგეთებს გავმკლავებივართ?!“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

„მაშინ, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობის მაჩვენებელი იკლებს, იზრდება ეკონომიკური საკითხების მნიშვნელობა, როგორიც არის, მაგალითად: დასაქმება, ფასების ზრდა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება და სიღარიბის დაძლევა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დადებითად არის განწყობილი დემოკრატიული პროცესების მიმართ, ისინი ახლა უფრო მეტ ანგარიშვალდებულებას მოითხოვენ ხელისუფლების მხრიდან, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს ან ცვლილებებს სამოქალაქო კოდექსში“.

ლუის ნავარო, NDI-ს ხელმძღვანელი

„იმისთვის, რომ პოლიტიკაში ჩემი ყოფნისას საზოგადოებას ზედმეტი კითხვები არ გაუჩნდეს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დაწყებამდე მე მოვახდენ რუსეთში არსებული ბიზნესის რეალიზაციას“.

ბიძინა ივანიშვილი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ანაბრების აქცია!

+1,5%

USD / EUR

ვადიან და მოქნილ ანაბარზე

აირჩიე ბანკი, რომელსაც ენდობი



ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

უნდა ჰქონდეს თუ არა საბანკო ანგარიშების მ

კი

ზოგადად, პირადი საბანკო ინფორმაცია და ანგარიშები ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. თუმცა არსებობს გამონაკლისები, როცა, მაგალითად, დანაშაულის შემთხვევაში არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება სამართალდამცავებისთვის. თუმცა ამას სჭირდება თავისი პროცედურა და განსაკუთრებული სტანდარტები.

ამ კანონპროექტის დამუშავება დავიწყეთ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით, Moneyval-ს ვგულისხმობ, რომელიც ორიენტირებულია ფულის გათეთრებისა და შემოსავლების კონტროლის მექანიზმებზე. ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციებს კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

ოპონენტები კანონს არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ. საუბრობენ, რომ იქნება ტოტალური კონტროლი, პროკურატურას ყველა ჩვენგანის პირადი ანგარიშის გაკონტროლება შეეძლება. სინამდ-

კახა ანჯაფარიძე
პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ვილეში საკითხი სხვაგვარადაა.

კანონში წერია, რომ თუკი მიმდინარეობს გამოძიება და არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, საფუძვლიანი ეჭვები ფულის გათეთრების შესახებ, ეჭვის გაჩენისთანავე იწყება მისი დასაბუთების პროცესი. გამოძიების არგუმენტები აუცილებლად გაივლის სასამართლო კონტროლს. სასამართლო შეისწავლის საქმის მასალებს, საკმარისი არგუმენტების მოსმენის შემდეგ კი გადაწყვეტს, მისცეს თუ არა გამოძიებას ანგარიშების მონიტორინგის უფლება.

ფულის გათეთრება არის აქტუალური თემა მთელ მსოფლიოში. ამ თემაზე ქვეყნებს შორის ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებები იდება. ნორმა, რომელიც ჩავდეთ კანონპროექტში, ჩვენი ვალდებულებაა. გარდა იმისა, რომ არის დანაშაულის პრევენცია, ეს არის ჩვენი შეერთება მსოფლიო საზოგადოებასთან, რომელიც ებრძვის ამ დანაშაულს და არანაირად არ შეიძლება ჩვენ ცივილიზებულ სამყაროს გავემიჯნოთ, განზე გავდგეთ და შორიდან ვუყურეთ. ჩვენ ვართ თანამედროვე სამყაროს ნაწილი და ვალდებული ვართ, ამ პროცესს ფეხი ავუწყოთ.

ჩემი კოლეგები პარლამენტიდან, ასევე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ითხოვენ მოჭრილი ვადების დაწესებას ანგარიშების კონტროლისთვის. თუმცა ფულის გათეთრება არა არის მყისიერი მოვლენა და არ შეიძლება კონკრეტულ ვადაში გაარკვიო, აქვს თუ არა დანაშაულს ადგილი. ვთქვათ, 10 დღის განმავლობაში დაკვირდე ადამიანის ანგარიშს, საეჭვო თანხების მოძრაობა ვერ დაინახო და შეეშვა – წარმოუდგენელია. ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ მეეჭვება, რომ რაიმე მოკლე ვადებზე ვისაუბროთ.

პროკურატურას პირადი მონიტორინგის უფლება?

არა

ლევან ვეფხვაძე
ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი

კანონპროექტი შეიცავს საფრთხეებს, როგორც საბანკო მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ისე თავად კომერციული ბანკებისთვის.

ანგარიშების მონიტორინგის სურვილი პროკურატურას შეიძლება გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, რაც საკმაოდ ბუნდოვანი კატეგორიაა. აქ არ იკვეთება სიტუაციის დასაბუთებულად მიჩნევისათვის საჭირო არანაირი კრიტერიუმი. იგი აბსტრაქტული განზომილების სახითაა წარმოდგენილი და სისხლის სამართალწარმოების მთლიან პროცესში პროკურატურას უქმნის სუბიექტური დევნის განხორციელებისათვის აუცილებელ ყველანაირ ნორმატიულ საფუძველს. ამასთან, ეს ნორმა ბანკს ავალდებულებს გამოძიების მწარმოებელი ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდებას არა მხოლოდ ერთ ანგარიშზე. ამით, გამოძიების მოძრაობა საბანკო დაწესებულებებში ხდება შეუზღუდავი და გამოძიებისთვის ხელმისაწვდომი იქნება არა მხოლოდ ეჭვს დაქვემდებარებული პირის, არამედ სხვა პირთა, მათ შორის, თავად ბანკის კომერციული საიდუმლოებები.

შემოთავაზებული მუხლის მე-2 ნაწილი ბანკს სისხლის სამართლებრივი ქმედების შეფასების ვალდებულებას აკისრებს, ბანკმა უნდა განსაზღვროს და შეაფასოს, ესა თუ ის ქმედება არის თუ არა დანაშაულებრივი და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საგამოძიებო ორგანოს. ბუნებრივია, ბანკს არ აქვს ამის კომპეტენცია და არც მის თანამშრომლებს – შესაბამისი კვალიფიკაცია. ამან კი შესაძლოა, გამოიწვიოს ბანკის თანამშრომლების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

კიდევ ერთი პრობლემა კომერციული ბანკებისთვის: კომერციული საიდუმლოების ხელყოფით დაეცემა ბანკების მიმართ ნდობა და, შესაბამისად, კლიენტურა გადავა სხვა ქვეყნების კომერციულ ბანკებში.

მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ინფორმაცია საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებამდე“. ამან დიდი ალბათობით შეიძლება პრობლემა შეუქმნას კონტრაქტის პირობების შესრულებას ანაზღაურების ნაწილში და შედეგად მივიღოთ კომერციული წარუმატებლობა. ამასთან, შეფერხდება პირის მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელება, რაც იმ მომენტისათვის კანონიერების პრეზუმფციით დაცული საკუთრებით სარგებლობის ხელისშემშლელი ფაქტორია.

და ბოლოს, ეს მდგომარეობა განსაკუთრებით შემაშფოთებელი პერსპექტივის სახეს იღებს და წინასაარჩევნო (როგორც საპარლამენტო, ასევე [ნაციონალური მოძრაობის მიერ საპარლამენტო არჩევნების მოგების შემთხვევაში] საპრეზიდენტო არჩევნების) პერიოდისათვის, იურიდიული და ფიზიკური პირების მხრიდან ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების შემთხვევაში პირდაპირი კონტროლის რეალურ საფრთხეს ქმნის.

სოციალიზმი კაპიტალისტებისთვის, კაპიტალიზმი ყველა დანარჩენისთვის

მარკ მალენი

ჯერ გაურკვეველია, როგორ აისახება „უოლ სტრიტის“ აქციები ამერიკის მომავალ არჩევნებზე, მაგრამ არსებობს პარალელი ამ საპროტესტო მოძრაობის გზავნილებსა და საქართველოში გაჩენილ კითხვებს შორის – ბიზნესი და ხელისუფლება საქართველოში ერთმანეთს უფრო და უფრო უახლოვდება.

დაახლოებით ორი თვის წინ არაბულ სამყაროში გამართული საპროტესტო ტალღით შთაგონებულმა ამერიკელების ერთმა ჯგუფმა „უოლ სტრიტის დაკავება“ დაიწყო. მათთვის, ვინც ამერიკაში არასდროს ყოფილა, ვიტყვი, რომ ნიუ-იორკში არის ქუჩა, რომელსაც ჰქვია „უოლი“ (ინგლისურად „კედელი“), თუმცა როდესაც ადამიანები ამბობენ „უოლ სტრიტს“, ისინი, ჩვეულებრივ, ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუციების სისტემას გულისხმობენ, რომლის არაფორმალური დედაქალაქიც მანჰეტენის ქვედა ნაწილში, ნიუ-იორკის ხუთიდან ერთ ადმინისტრაციულ ოლქში მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქალაქის ეს ნაწილი ცათამბჯენებით არის სავსე, იგი ნიუ-იორკის ყველაზე ძველი უბანია.

თავდაპირველად, მომიტინგეებმა უოლ სტრიტის მეტროს სადგურთან მდებარე ზუქოტის პარკი დაიკავეს, შემდეგ კი უოლ სტრიტის რაიონის მიმდებარე ბრუკლინის ხიდი გადაკეტეს. ამჟამად, ისინი მთელ ქვედა მანჰეტენში არიან გაშლილები. მსგავსი აქციები კი უკვე ამერიკის სხვა დიდ ქალაქებშიც დაიწყო. მათ არ ჰყავთ ლიდერი. მართალია, „ალ-ჯაზირა“ და რამდენიმე საერთაშორისო მედიასაშუალება ამ პროტესტს დასაწყისიდანვე აშუქებდა, მაგრამ ამერიკული მედია მათ იქამდე არ იმჩნევდა, ვიდრე მომიტინგეების რიცხვი დრამატულად არ გაიზარდა.

მედია იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ არ არსებობს ერთი საერთო გზავნილი ან ლიდერი და არ იცის, როგორ წარმოაჩინოს ან გააშუქოს მიმდინარე მოვლენები. მოსაზრებებიც განსხვავებულია. ბევრი მომიტინგე აცხადებს, რომ ისინი მოსახლეობის 99 %-ის სახელით 1 %-ის გავლენას აპროტესტებენ. დღესდღეობით, ამერიკაში, ყველაზე მდიდარი 1 % ეკონომიკის 70 %-ს აკონტროლებს. უთანასწორობა რეიგანიდან მოყოლებული, ოცდაათი წლის მანძილზე იზრდებოდა, მაგრამ პიკს ბუშის პრეზიდენტობის დროს მიაღწია.

შემოსავლების უთანასწორობის გაზრდა იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო ცოტა ადამიანი აკონტროლებს ეკონომიკის სულ უფრო მეტ ნაწილს. ამერიკაში ბევრი თვლის, რომ ბუში მდიდრებს ემსახურებოდა. საპრეზიდენტო არჩევნებში ობამამ სწორედ ამიტომ გაიმარჯვა. ამავე დროს, იმავე ობამას ამომრჩეველს აქვს სხვა წუხილებიც. ერთ-ერთი წუხილი ის არის, რომ ფინანსური სექტორის წარმომადგენლებმა ისევე არ იწვნიეს კრიზისი, როგორც მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმა. მეორე წუხილი ის არის, რომ ფული უფრო და უფრო მეტად აკონტროლებს პოლიტიკას და პოლიტიკა ფულს ემსახურება. უზენაესი სასამართლოს ახლახან მიღებული გადაწყვეტილებით, ხუთი რესპუბლიკელი მოსამართლე ხანგრძლივი საპრეზიდენტო და სასამართლო ტრადიციის წინააღმდეგ წავიდა. მათ გამოაცხადეს, რომ კონსტიტუციის „სიტყვის თავისუფლების“ მუხლი არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ კორპორაციებსაც ეხებათ. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ფულის დიდი ნაკადის გადინება კორპორაციებიდან იმ კანდიდატებისკენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რასაც კორპორაციები ეტყვიან. ობამას ბევრი ამომრჩეველი თვლის, რომ ადმინისტრაციამ ამ ტენდენციასთან საბრძოლველად ბევრი ვერაფერი გააკეთა. რესპუბლიკელები კი ამ ყველაფერზე ნაკლებად დარდობენ.

არსებობს ასეთი გავრცელებული გამოთქმა: „სოციალიზმი კაპიტალისტებისთვის, კაპიტალიზმი ყველა დანარჩენისთვის.“ ეს გამოთქმა ეხება სიტუაციას, რომელიც ამერიკაში ბოლო დროს შეიქმნა. მსხვილი ბანკები დიდი ხნის მანძილზე დაბალპროცენტიან სესხს აძლევდნენ ისეთ ხალხს, ვისაც გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა. შემდეგ ამ სესხებს ერთად აგროვებდნენ და სხვა ბანკებზე ყიდდნენ. პირველადი ბანკები ამით ბევრ ფულს შოულობდნენ. მოგვიანებით, ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდა, საპროცენტო განაკვეთმა მოიმატა, ბევრმა სამუშაო დაკარგა, სესხის უკან დაბრუნება ვერ შეძლო, სახლი დაკარგა და იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკაში უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა არ არსებობს, ჯანდაცვის დაზღვევასაც გამოემშვიდობა. შედეგად, ძალიან ბევრი ადამიანი გაუბედურდა. ამასთანავე, ეს ბანკები „ზედმეტად დიდები იყვნენ იმისთვის, რომ გაკოტრებულიყვნენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გაკონტრდებოდნენ, ისინი მთელ ეკონომიკას დაღუპავდნენ. საბოლოოდ, ამერიკის მთავრობამ ბანკები გადაარჩინა. ბანკებმა კი თავიანთი მენეჯერებისთვის გადასახადის გადამხდელების ფულით მილიონების გადახდა განაგრძეს. ესე იგი, გამოდის, რომ თუ მდიდარი ხარ, სახელმწიფო ბევრ გადასახადს არ გთხოვს და თანაც გეხმარება მაშინ, როდესაც არასწორ გადაწყვეტილებებს იღებ; მაგრამ თუ მდიდარი არ ხარ, მაშინ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად რჩები.

2009 წელს, ობამას გაპრეზიდენტებიდან ცოტა ხნის შემდეგ, გაჩნდა გაერთიანება სახელად „ჩაის მსმელები“. თავიდან მათ მაღალი გადასახადების გაპროტესტება დაიწყეს, მაგრამ განსაკუთრებით იმ პერიოდში გააქტიურდნენ, როდესაც ობამა ჯანდაცვის აქტის მიღებას ცდილობდა. დასაწყისიდანვე, ჩაის მსმელებს რესპუბლიკური პარტიის ლიდერები და რამდენიმე ძალიან მდიდარი ამერიკელი უჭერდნენ მხარს. ამ ორგანიზაციას 2010 წლის ამერიკულ კონგრესის არჩევნებზე უნდა მოეხდინა გავლენა. „ჩაის მსმელებს“ კარგად აფინანსებდნენ და ისინი მედიაში დიდი გავლენით სარგებლობდნენ. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა იმუშავა და დემოკრატებმა კონგრესის ქვედა პალატაზე კონტროლი დაკარგეს (თუმცა ისინი სენატს ჯერ კიდევ აკონტროლებენ). „ჩაის მსმელები“ მრავალფეროვანი ჯგუფი იყო და მისი წევრებიც პროტესტს სხვადასხვა რამეზე გამოხატავდნენ, მაგრამ ძირითადად კონცენტრირებული იყვნენ იმაზე, რაც მათ დამფინანსებლებს აინტერესებდათ: აცხადებდნენ, რომ ობამა მხარს უჭერს „დიდ ბიუჯეტს“, მაღალ გადასახადებს და სახელმწიფო ხარჯვას. ბუშმა მილიონერებს გადასახადი შეუმცირა, ობამას ამ გადასახადების რეიგანის დროინდელ ნიშნულამდე გაზრდა სურს, „ჩაის მსმელები“ კი გადასახადების ნებისმიერ ზრდას ეწინააღმდეგებიან. ისინი, როგორც წესი, თეთრკანიანები არიან და მათი გავლენაც ამერიკის შუა ნაწილზე ვრცელდება.

უოლ სტრიტის ახლანდელი მომიტინგეები „ჩაის მსმელებისაგან“ ძალიან განსხვავდებიან. მათი აქტიურობა არ დაწყებულა ფორმალური მხარდაჭერითა და დაფინანსებით. მომიტინგეები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენენ, რომელთაც ბევრი რამ აწუხებთ, მაგრამ ძირითადად იმ მოსაზრების გარშემო ერთიანდებიან, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები კორპორაციების და არა ხალხის საკეთილდღეოდ მიიღება. როდესაც საერთაშორისო მედიამ, განსაკუთრებით „ალ-ჯაზირამ“, პროტესტის გაშუქება დაიწყო და „იუთუბისა“ და „ფეისბუქის“ მეშვეობით ვიდეოებიც გავრცელდა, წამყვანმა ამერიკულმა მედიამ პროტესტს ყურადღება მიაქცია. პროტესტი ამერიკის სხვა ქალაქებში გავრცელდა და ნიუ-იორკშიც მას უფრო მეტი ადამიანი შეუერთდა. დემონსტრაციები განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც მომიტინგეებზე პოლიციის ძალადობის კადრები გავრცელდა.

არავინ იცის, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი ამერიკისთვის, ან მომავალი წლის ამერიკული არჩევნებისთვის. შესაძლებელია, რომ მოძრაობას ლიდერი არც გამოუჩნდეს, ან პროტესტი დაიშალოს და ვერანაირი გავლენა ვერ მოიპოვოს. „ჩაის მსმელები“ ძირითადად 2010 წლის არჩევნებზე იყვნენ კონცენტრირებული და როდესაც არჩევნები დასრულდა, ისინიც გაჩუმდნენ. რესპუბლიკელებს კი გარკვეული თავსატეხი გაუჩინეს – მათ მოიპოვეს გავლენა და ძალაუფლება. დღეს რესპუბლიკური პარტიის ლიდერებს

უოლ სტრიტის ახლანდელი მომიტინგეები „ჩაის მსმელებისაგან“ ძალიან განსხვავდებიან. მათი აქტიურობა არ დაწყებულა ფორმალური მხარდაჭერითა და დაფინანსებით. მომიტინგეები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთი იდეის გარშემო ერთიანდებიან.

მათთან ურთიერთობა უკვე აღარ სურთ. თუ „ჩაის მსმელების“ კანდიდატი რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად გახდენას გადაწყვეტს, ზომიერი რესპუბლიკელები მას ხმას არ მისცემენ და აქედან გამომდინარე, არც აირჩევენ. თუ პარტიის არჩევნებში ზომიერი კანდიდატი, მაგალითად, მიტ რომნი გაიმარჯვებს, მაშინ მას „ჩაის მსმელები“ გაემიჯნებიან; „ჩაის მსმელები“ კი ის ერთადერთი გავლენიანი ორგანიზაციაა, რომელიც დღეს რესპუბლიკელებს ჰყავთ. მათგან განსხვავებით, „უოლ სტრიტის“ პროტესტის მონაწილეებს პოლიტიკური ამბიციები ჯერჯერობით არ გააჩნიათ, ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა მოხდება მომავალში. ბევრი მათგანი დემოკრატების ამომრჩეველია, მაგრამ ისინი უკვე დემოკრატებითაც იმედგაცრუებულები არიან.

ნათელი არ არის, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის, იმის გარდა, რომ შეიძლება ამ მოვლენებმა ამერიკის შემდეგი პრეზიდენტის არჩევაზე მოახდინოს გავლენა. ამავე დროს, არსებობს მნიშვნელოვანი პარალელი უოლ სტრიტის პროტესტის გზავნილებსა და საქართველოში გაჩენილ კითხვებს შორის. ბიზნესი და ხელისუფლება საქართველოში ერთმანეთს უფრო და უფრო უახლოვდება. საკმარისია ერთი თვალის გადავლება პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობაზე, ან ხელისუფლების მიერ მართულ ტელეარხებზე, რომ ეს ვარაუდი უფრო გამყარდეს. მთავრობა თვლის, რომ ბიზნესთან მეგობრული ურთიერთობა ეკონომიკურ წინსვლას წაახალისებს, მაგრამ სად გადის ზღვარი? უფრო და უფრო მეტი ბიზნესი რეგისტრირდება ოფშორულ ზონებში. უკვე შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, ვინ რას ფლობს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ბევრი ბიზნესი დაახლოებულია მთავრობასთან და ზოგიერთი პირდაპირ მთავრობის წევრების მფლობელობაშია. როდესაც ხელისუფლება ეხმარება ბიზნესს, ამას ეკონომიკური ზრდის წახალისებისთვის აკეთებს (რაც მოსახლეობისთვის კარგია), თუ იმიტომ, რომ პოლიტიკური ელიტა და ბიზნეს ელიტა, არსებითად, ერთი და იგივე ხალხია? როგორც ჩანს, ამ თემას მსოფლიოს ბევრ ნაწილში განიხილავენ.

ნუ ატყუებთ სტუდენტებს!

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტი



გამოხმაურება სანდრო კვიტაშვილის და დიმიტრი შაშკინის განცხადებებზე

3 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა რექტორსა და ყოფილ სტუდენტებს შორის დაპირისპირებით დაიწყო. განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა პირველკურსელებს მიმართა და აუწყა, რომ მათ ჩააბარეს საუკეთესო უნივერსიტეტში, სადაც ისინი ოთხი წლის განმავლობაში ისწავლიან და „ძალიან მაღალი დონის ცოდნას“ მიიღებენ. „თქვენ უკვე ხართ წარმატებული ადამიანები, როგორც თქვა ბატონმა სანდრომ. თქვენ თქვენი ცოდნით, თქვენი ნიჭით ჩააბარეთ ყველაზე მაგარ უნივერსიტეტში“, – აცხადებს შაშკინი.

ამ მიმართვის ფონზე, სტუდენტების ნაწილს გაშლილი ჰქონდა პლაკატი წარწერით „ნუ ატყუებთ სტუდენტებს“, რაზეც უნივერსიტეტის რექტორმა, სანდრო კვიტაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: „მათ, ვინც თავს თვლის მოტყუებულად: საქართველოში არის არჩევანი – ნებისმიერ უნივერსიტეტში შეგიძლიათ გააგრძელოთ სწავლა. თუ ვინმე რამეში გატყუებთ, ძალიან გთხოვთ, თქვენს თავს მიხედეთ და ჩვენ ნუ გვაწუხებთ.“

ამ დაპირისპირების დეტალებს აღარ გავყვები და პირდაპირ მინისტრისა და რექტორის კომენტარების განხილვაზე გადავალ. დავიწყოთ იმით, შესაძლებელია თუ არა თსუ-ში „ძალიან მაღალი დონის“ ცოდნის მიღება.

არათუ მსოფლიოს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების არცერთ მეტნაკლებად ავტორიტეტულ რეიტინგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოხსენიებული არ არის. სამწუხაროდ, ადგილობრივი მასშტაბის რეიტინგები არ არსებობს, მაგრამ შედარებით შეზღუდული „ვებომეტრიქსის“ (ეს რეიტინგი უნივერსიტეტის ინტერნეტ სივრცეში არსებობას ზომავს) მიხედვით, წელს საქართველოში პირველი ადგილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა.

რექტორ კვიტაშვილის კომენტარებიდან ირკვევა, რომ მას არ აქვს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლება.

დღეს საქართველოს კერძო უნივერსიტეტებში (კავკასიის ბიზნეს სკოლა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი), სწავლის საფასური საშუალოდ სამჯერ-ოთხჯერ აღემატება სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასურს. თსუ-ში სწავლის წლიური საფასური 2250 ლარს შეადგენს, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში – 3000 ევროს, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში – 6000 ლარს, კავკასიის ბიზნეს სკოლაში – 7500 ლარს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტუდენტი სახელმწიფო გრანტს მოიპოვებს და კერძო უნივერსიტეტში ჩააბარებს, სახელმწიფო მას მხოლოდ 2250 ლარს უხდის, დანარჩენი სტუდენტმა თავად უნდა დაფაროს.

რეალურად, სტუდენტისთვის თავისუფალი არჩევანი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის არ არსებობს. ასეთი არჩევანი იარსებებდა იმ შემთხვევაში, ორივეგან რომ ერთნაირი გადასახადი იყოს.

ნებისმიერი უნივერსიტეტი ცდილობს, რომ იმიჯი გაიუმჯობესოს და სტუდენტებს საუკეთესო სერვისი შესთავაზოს. კერძო უნივერსიტეტებმა კარგად იციან, რომ თუ სტუდენტების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, ფინანსურად დაზარალდებიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა კი იცის, რომ მის სტუდენტებს რეალური არჩევანი არ აქვთ და ამიტომ, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ფიქრით თავს დიდად არ იწუხებს.

რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლების საფასური კერძოსთან შედარებით ყოველთვის უფრო შეღავათიანი იქნება, ნიშნავს თუ არა ეს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებმა სწავლების ხარისხზე არ უნდა იზრუნონ?

ამ ლოგიკას თუ გავყვებით, უკიდურესად არათანასწორ პრინციპამდე მივალთ: ხარისხიან განათლებას მხოლოდ ისინი მიიღებენ, ვისაც ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვთ. უამრავ ნიჭიერ სტუდენტს კი განათლების მიღების უკიდურესად შეზღუდული შესაძლებლობები დარჩება.

სახელმწიფოს როლზე განათლების სისტემაში დღეს მთელ მსოფლიოში ბევრს საუბრობენ; მიიჩნევა, რომ აღმოსავლეთაზიური ქვეყნების წარმატების ერთ-ერთი გასაღები ხარისხიანი განათლების სისტემაშია.

რამდენიმე თვის წინ ამ საკითხზე კოლუმბიის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორთან, ფრანსისკო რივერა-ბატისთან ინტერვიუ ჩავწერე. პროფესორ რივერა-ბატისის თქმით, „თითქმის ყველა ქვეყანაში, განათლების სექტორში ინვესტიციების დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან მოდის. ყველა იმ ქვეყანამ, რომელთა ეკონომიკაც სწრაფად განვითარდა (სინგაპურმა, ჩინეთმა და ა.შ.), თავის დროზე განათლების სექტორში ინვესტიციები დრამატულად გაზარდეს. მათ უზრუნველყვეს განათლების ისეთი დონე, რომ ეკონომიკური ზრდისთვის ხელი შეეწყოთ. განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ფულს თუ არ დახარჯავთ, მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენ მოსწავლეს ან სტუდენტს მოემსახურებით. მაგალითად, საქართვე-

ლო დაწყებით და საშუალო განათლების სექტორში საკმაოდ ბევრ მოსწავლეს ემსახურება, მაგრამ მთლიანობაში, განათლების დონე და ხარისხი საკმარისი არ არის და არც იზრდება. ეს არის მთავარი პრობლემა. საქართველოს სჭირდება მეტი ინვესტიციები განათლების სექტორში.“

საქართველოს ხელისუფლებას ეს გამოწვევა გააზრებული არ აქვს და ეს ყველაზე მეტად უმაღლესი განათლებისადმი დამოკიდებულებაში ჩანს. იმისათვის, რომ ჭაობს თავი დავაღწიოთ, აზროვნების ახლანდელი სისტემა უნდა შევცვალოთ.

ფოტო: ანა ანანიაშვილი

პირველ რიგში, უნდა განვთავისუფლდეთ იმ მითოლოგიური წარმოდგენებისგან, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო შეიქმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაზომვის კონკრეტული ინდიკატორები არსებობს, რომლის მიხედვითაც თსუ-ში ხარისხიანი განათლების მიღება შეუძლებელია. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ეს ინდიკატორებია: აკადემიური რეპუტაცია, უნივერსიტეტის მთლიანი ციტირების ინდექსის შეფარდება აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან, ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობა, უცხოელი ლექტორების შეფარდება ადგილობრივ ლექტორებთან, უცხოელი სტუდენტების შეფარდება ადგილობრივ სტუდენტებთან და ა.შ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ არის „ყველაზე მაგარი უნივერსიტეტი“, როგორც ეს მინისტრმა აღნიშნა, ის ცუდი უნივერსიტეტია.

სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის წარმატებას უნდა ზომავდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით და სტუდენტებს, ადმინისტრაციასა და ლექტორებს შორის ეფექტური კომუნიკაციით. ის, რაც 3 ოქტომბერს უნივერსიტეტის ბაღში ვიხილეთ (განსაკუთრებით, უნივერსიტეტის პრორექტორ ლევან ალექსიძის ქცევა), იყო სამარცხვინო და ცინიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ აგდებულად ექცევა სტუდენტებს ადმინისტრაცია. ალექსიძემ ერთ-ერთ სტუდენტს ჯერ „პროვოკატორი” და შემდეგ, „მაიმუნი“ უწოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მას შემდეგ, რაც თავის შეცდომებს გაიაზრებს, მინისტრთან ერთად უნდა შეუდგეს სწავლების ხარისხის კარდინალურად გაუმჯობესებას. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს სტუდენტების და პოლიტიკური პარტიების ზეწოლის გარეშე განხორციელდეს.

საკითხავია, რა უნდა გააკეთონ სტუდენტებმა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ და სწავლების ხარისხით უკმაყოფილონი არიან. ჩემი აზრით, მათ უნდა გააგრძელონ პროტესტის გამოხატვა სხვადასხვა საშუალებით და აიძულონ ადმინისტრაცია, რომ მათი მოთხოვნები გაითვალისწინონ.

ამავე დროს, ნათელია, რომ განათლების სისტემაში რეფორმის განხორციელების საკითხი არ არის არც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და არც თავად განათლების მინისტრის კეთილ ნებაზე დამოკიდებული. ამ სფეროში საჭიროა პოლიტიკის რადიკალური ცვლილება, რაც სცილდება ვიწრო შიდასაუნივერსიტეტო საკითხების კატეგორიას და ზოგადპოლიტიკურ რანგში ადის.

ყველა იმ ქვეყანამ, რომელთა ეკონომიკაც სწრაფად განვითარდა, თავის დროზე, განათლების სექტორში ინვესტიციები დრამატულად გაზარდა. მათ უზრუნველყვეს განათლების ისეთი დონე, რომ ეკონომიკური ზრდისთვის ხელი შეეწყოთ.

ქართული ოპოზიციური პარტიები განათლების თემას რატომღაც უყურადღებოდ ტოვებენ. რა თქმა უნდა, ისინი სტუდენტების პროტესტში არ უნდა ჩაერიონ, იმისათვის, რომ დაპირისპირებამ პოლიტიკური ხასიათი არ მიიღოს, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ უმაღლესი განათლების რეფორმის საჭიროება თავიანთ პოლიტიკურ პროგრამაში.

პოლიტიკურმა პარტიებმა, მედიამ და სტუდენტებმა უნდა აიძულონ სახელმწიფო, რომ თავისი დამოკიდებულება სახელმწიფო უმაღლესი განათლებისადმი რადიკალურად შეცვალოს. მინისტრი შაშკინი და რექტორი კვიტაშვილი კი რაც უფრო მალე გაიაზრებენ პრობლემის სიმწვავეს და დაიწყებენ მის გადაჭრაზე ფიქრს, მომავალში მით უფრო მეტად აირიდებენ დაპირისპირებას თავიდან.

"დაფიქრდით, რობოტ ბარამეში ბინდათ სხოვრება"

ინტერვიუ მდგრადი განვითარების გლობალური ინსტიტუტის დირექტორთან, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან,

რობერტ მელნიკთან

ფოტო: ლევან ხარბედია

ზოგი მიიჩნევს, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის ეკონომიკური განვითარება და მდგრადი განვითარება ერთმანეთს გამორიცხავს. არის თუ არა ეს არგუმენტი მცდარი და თუ ასეა, მაშინ რა უნდა ვიგულისხმოთ მდგრად განვითარებაში?

ეგ მართალია, რომ რაც უფრო მეტად მდიდრდებიან ქვეყნები, მით უფრო მეტად იწყებენ გარემოზე ზრუნვას. მაგალითად, ამერიკაში სწორედ ასე მოხდა: გარემოს დაცვის მოძრაობები წარმოიშვა მაშინ, როდესაც ამერიკის ეკონომიკა არ იყო რეცესიაში. ახლა კი, როდესაც ეკონომიკური რეცესიაა, უფრო ცოტა ფულია და ხალხს სამუშაო უნდა, ადამიანები უფრო ნაკლებად ფიქრობენ გარემოს დაცვის საკითხებზე. ასე რომ, ეს ძალიან ბუნებრივი დაპირისპირებაა.

მაგრამ როცა ჩვენ („ჩვენში" ვგულისხმობ სახელმწიფოს, არასამთავრობოებს, მედიას) ვიგებთ უფრო მეტს ამ კონცეფციის, მდგრადი განვითარების შესახებ, მაშინვე ვაანალიზებთ, რომ ეკონომიკის განვითარება და გარემოს დაცვა ერთმა-

თქვენმა მერმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჰაერის დაბინძურება 2020 წლისთვის 20 %-ით უნდა შეამციროს. მანქანების ამ რაოდენობით თქვენ ამ მიზანს ვერ მიაღწევთ.

ნეთს არ ეწინააღმდეგება. ამ ხელოვნურ დაპირისპირებას ჩვენ ვახვევთ საკუთარ თავს, რადგან იგი ზედმეტად მარტივია. მაგალითად, თუ საქართველოში მთავრობა მოიწვევს სამრეწველო კომპანიას, რომელიც დაასაქმებს, დავუშვათ, 500 ადამიანს, ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ნაბიჯი იქნება ამ 500 ადამიანისთვის, მაგრამ ასეთმა კომპანიამ შეიძლება შეუქმნას გარემოს ისეთი პრობლემები, რომლებიც ყველა ჩვენგანზე იმოქმედებს და ეს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური პრობლემებია. გრძელვადიან პერსპექტივაში, გარემოსთვის მიყენებულმა ზარალმა შეიძლება გადააჭარბოს ხალხის დასაქმებით მიღებულ სარგებელს. სამწუხაროდ, სახელმწიფო მოხელეები თითქმის ყოველთვის ირჩევენ სამუშაო ადგილების შექმნას და რაღაც დროის შემდეგ, სხვა პოლიტიკოსებს უწევთ დაბინძურებულ გარემოზე ფიქრი.

ამავე დროს, სრულიად შესაძლებელია, რომ კომპანიებმა ერთმანეთს შეუთავსონ მდგრადი განვითარება და მოგების ნახვა, მაგალითად, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „უოლმარტი“ მოიქცა ამერიკაში. ისინი ამით რესურსებსაც ზოგავენ და უფრო ეკოლოგიურებიც ხდებიან.

თუმცა ის იდეა, რომ მდგრად განვითარებაზე ფიქრი გვიწევს, არ ეწინააღმდეგება მემარჯვენე კონსერვატორებისთვის პოპულარულ იდეას, რომლითაც კომპანიების მთავარი საზრუნავი „მოგების მაქსიმიზაცია“ უნდა იყოს?

მე ვეთანხმები იმ იდეას, რომ ბაზარი მუშაობს, მაგრამ ის მუშაობს არასრულყოფილად. ამერიკაში და ბევრ სხვა ქვეყანაში ბაზარი კონტროლდება სპეციალური რეგულაციებით. მაგალითად, ჩვენ ვარეგულირებთ საჯარო კომუნალურ სექტორს – საკმაოდ მკაცრად ვარეგულირებთ ფასებს, მაგალითად, ელექტროენერგიაზე. ასევე, ვარეგულირებთ ჰაერის ხარისხს და გვაქვს გარემოს დაცვის სააგენტო. ყველა ეს რეგულაცია იჭრება ბაზარში და არ აძლევს მას საშუალებას, სრულად თავისუფლად იმუშაოს. ეს ორგანიზაციები იჭრებიან ბაზრის მუშაობაში სწორედ იმიტომ, რომ რეგულირებისაგან მიღებული სარგებელი აჭარბებს თავისუფალი ბაზრისგან მიღებულ სარგებელს. გაცილებით ადვილი იქნება ბაზრის თავის ნებაზე მიშვება თუ მსოფლიოში ამოუწურავი რესურსები იქნება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უსასრულო რაოდენობის რესურსები. თუ ბაზარს მისცემ უფლებას, რომ სრულიად თავისუფალი იყოს, ის ბევრ სიცოცხლეს შეიწირავს. რა თქმა უნდა, მე ასევე არ ვარ მომხრე, რომ ბაზარი ვარეგულიროთ იმ დონეზე, როგორც, ვთქვათ, ყოფილ საბჭოთა კავშირში.

გუშინ ვიყავი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და იქ მითხრეს, რომ მათი მთავარი მისია საქართველოსთვის „მწვანე ეკონომიკური სტრატეგიის“ შექმნაა. ვფიქრობ, რომ სრულიად შესაძლებელია ორივე მიზნის მიღწევა: ეკონომიკის განვითარება და მდგრადი განვითარება.

ამის მიუხედავად, საქართველოს აქვს გარკვეული პრობლემები, მაგალითად, წიაღისეულის მომპოვებელ ინდუსტრიაში. დასავლეთში გარემოს დაცვის საკითხებზე მსჯელობა კარგა ხანია, რაც მიმდინარეობს. როგორ უნდა მოხდეს საქართველოში ამ მხრივ ხალხის ცნობიერების ამაღლება და რა როლი აქვს განათლებას ამ საქმეში?

ჩემი აზრით, განათლებას და მედიას განსაკუთრებით დიდი როლი აქვს მდგრადი განვითარების საკითხების წინწამოწევაში. განათლების მუშაკებმა უნდა გაიაზრონ, რომ ისინი განმანათლებლები უნდა იყვნენ და არა ადვოკატები. განათლებასა და ადვოკატირებას შორის დიდი განსხვავებაა. ამ საკითხზე მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება მოიცავს მათთვის პლანეტის სასრული რესურსების გაცნობას, საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების ახსნას, სხვადასხვა გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების განმარტებას და ა.შ. ყველაფერი ეს მდგრადი განვითარების თემებია და განათლების მუშაკებს ეკისრებათ უზარმაზარი პასუხისმგებლობა თავიანთი სტუდენტებისთვის ამ ყველაფრის მიწოდებაში. არცერთი სამეცნიერო პროგნოზი არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თუ ჩვენ ბუნებრივი რესურსების მოხმარებას ამავე ტემპით გავაგრძელებთ, 2050 წლისთვის პლანეტის მოსახლეობის უზრუნველყოფას შევძლებთ.

ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის როლი. მედიის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ მილიონობით ადამიანებს მიწვდეთ და მიაწოდოთ ინფორმაცია გარემოს დაცვის საკითხებზე. განსაკუთრებით სოციალური მედიის გამოჩენის შემდეგ, ინფორმაციის გავრცელების საშუალებები უფრო გამარტივდა. რა თქმა უნდა, ეს არ გაგხდით განსაკუთრებით პოპულარულებს მთავრობის თვალში, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენ ისევ საბჭოთა კავშირში არ ვცხოვრობთ და ამის გამო ციმბირში არ გაგაგზავნიან.

შეგიძლიათ თბილისის მაგალითზე გვითხრათ, თუ რას უნდა მივაქციოთ ყველაზე მეტი ყურადღება?

საქართველოში ჯერჯერობით სულ რაღაც სამი დღეა რაც ვიმყოფები, მაგრამ ჩემი ზოგადი დაკვირვებები ქალაქის შესახებ შემიძლია, მოგახსენოთ. პირველ რიგში, თბილისში მანქანების მოძრაობის სიხშირე, მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელია. ადამიანები, რომელთაც დრო გაჰყავთ ამ საცობებში, ეკონომიკის განვითარებას ხელს დიდად არ უწყობენ და ყველაფერთან ერთად, ჰაერს აბინძურებენ. თქვენმა მერმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჰაერის დაბინძურება 2020 წლისთვის 20 %-ით უნდა შეამციროს. მანქანების ამ რაოდენობით თქვენ ამ მიზანს ვერ მიაღწევთ. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: რა ტიპის ცხოვრება გვინდა, რომ გვქონდეს? მე როდესაც ჩამოვფრინდი, ვერ შევძელი სუფთა ჰაერზე გასეირნება, რადგან მანქანებმა შემიშალეს ხელი. მეორე დღეს ვიყავი არაპროდუქტიული და გაღიზიანებული.

მეორე მხრივ, თქვენ გაქვთ შესანიშნავი ბუნება: გარშემო მთები, მდინარე... უნდა დაფიქრდეთ იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს ამ ბუნებრივ გარემოს თქვენს ცხოვრებაში.

ესაუბრა გიორგი ცხადაია

ილარიონ ბაბუა ფუნდ ფუნაგანდი

ლეგენდარული ოლიგარქი საჯარო პოლიტიკაში

სააკაშვილის ყველაზე ამბიციური პროექტების მთავარი დამფინანსებლისა და ამავდროულად, პუტინთან კარგი ურთიერთობების მქონე ოლიგარქის პოლიტიკაში წასვლა ათასგვარ ეჭვებსა და კითხვებს აჩენს.

მაია წიკლაური

„მე გადავწყვიტე, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში“, – რუსეთში მოღვაწე ქართველი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება, რომელიც „ქართუ ჯგუფმა“ 2011 წლის 5 ოქტომბერს გაავრცელა, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

2011 წლის ოქტომბერში, როდესაც საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელი, ხოლო საპრეზიდენტომდე – ნელიწადნახევარია დარჩენილი – ყველაზე მდიდარი ქართველი ბიზნესმენი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადებას აკეთებს.

აშკარაა, რომ თუ ბიზნესმენი, რომლის ქონებაც საქართველოს ბიუჯეტზე თითქმის ორჯერ მეტი – 5,5 მილიარდი დოლარია, პოლიტიკაში მართლაც მოვა, ეს ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ვითარებას თავდაყირა დააყენებს.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ჟურნალისტებთან ივანიშვილის ერთადერთი კონტაქტი 6 წლის წინ შედგა, როდესაც მან რუსულ გაზეთ „ვედომოსტის“ მისცა ინტერვიუ. საზოგადოებისთვის მხოლოდ მისი რამდენიმე ფოტო და ის ლეგენდარული ისტორიებია ცნობილი, სადაც მასზე და მის აურაცხელ სიმდიდრეზე ჰყვებიან. ჭორვილელი ოლიგარქი მუდმივად ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა და პოლიტიკასთან მისი კავშირი აქამდე მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ამბიციური პროექტების დაფინანსებით შემოიფარგლებოდა.

ივანიშვილის სახელი ბევრ იმ სახელმწიფო პროექტს უკავშირდება, რომლითაც დღეს პირადად მიხეილ

ამავე თემაზე ვებზე
მანანა ვარდიაშვილი

ვისია ოლიგარქი?
www.liberali.ge

სააკაშვილი ამაყობს – სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დასასვენებელი ზღვისპირა პარკის, სათხილამურო კურორტის, სამედიცინო დაწესებულებების, თეატრების, ოპერის, ფილარმონიის და სხვა ობიექტების აღდგენა-გარემონტება, რაგბის ნაკრების დაფინანსება და სხვა.

2010 წლის ივლისში, გავლენიან ბრიტანულ გამოცემა „Prospect"-ის სტატიაში „კარგი ოლიგარქი", ჟურნალისტი ვენდელ სტივენსონი წერს:

„2008 წელს... სააკაშვილს იდუმალ ბიზნესმენზე დავუსვი კითხვა. „ოო, ივანიშვილი!" – შეჰყვირა პრეზიდენტმა, – „გრაფი მონტე კრისტოსავითაა. მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი. საჯაროობა ეზიზღება". სააკაშვილმა გაიცინა და მერე წარბშეკრულმა დასძინა, „მაგრამ პოლიტიკური ამბიციები არ აქვს. საერთოდ არ აქვს". ეს ისე თქვა, თითქოს ვერ წარმოედგინა ადამიანი, რომელიც ფულის ძალაუფლებად გადაქცევას არ მოინდომებდა".

„რა უნდა პოლიტიკაში? ალბათ, აიძულეს", „ამბობენ, პუტინის კაციაო", „ვითომ სააკაშვილის პროექტია?", „ალბათ, მობეზრდა ხელისუფლების დაფინანსება და თვითონ უნდა საქმის კეთება" – ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ პირველივე განცხადებასაც მითებისა და კითხვების კორიანტელი მოჰყვა.

ამ კითხვებზე პასუხი თავად ივანიშვილმა თავისი პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ორი წერილით გასცა.

ივანიშვილის წერილის პირველივე წინადადება მიხეილ სააკაშვილის კრიტიკით იწყება. „მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელთა მიხედვითაც ნათლად ვლინდება სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში, მიმაღებინა გადაწყვეტილება, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში".

ივანიშვილი წერს, რომ სააკაშვილმა უამრავი შეცდომა დაუშვა, რის გამოც მისი ხელისუფლებაში ყოფნა გაუმართლებელია:

„მის [სააკაშვილის] ადგილზე ნებისმიერი საღად მოაზროვნე და გონიერი პოლიტიკოსი ვადაზე ადრე წავიდოდა პოლიტიკიდან და პატიებას სთხოვდა თავის ხალხს. პოლიტიკოსი, რომელიც პატივს სცემს საკუთარ ქვეყანას, თავის ხალხს ან ელემენტარული თავმოყვარეობა მაინც გააჩნია, გააცნობიერებდა, რომ ლეგიტიმური გზით პოლიტიკაში დარჩენა შეუძლებელია და არ შეეცდებოდა კანონიერების ჩანაცვლებას: პირველი – ძალადობით და მეორე – სიცრუით", – წერია ივანიშვილის განცხადებაში.

ივანიშვილის თქმით, მან 2008 წლის „გაყალბებული არჩევნების" შემდეგ გადაწყვიტა ოპოზიციურ ძალებს დახმარებოდა, თუმცა დარწმუნდა, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე კონკრეტულ შედეგს ქართულ პოლიტიკაში ვერ მიაღწევდა.

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების უმრავლესობით მოგება;
- საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება;
- მთავრობაში ელიტური კორუფციის აღმოფხვრა;
- დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა;
- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღსადგენად პერსპექტივის შექმნა;
- მონოპოლიზებული ეკონომიკური სისტემის საინტერესო საინვესტიციო გარემოდ ქცევა და ბიზნესის აღორძინება;
- სოფლის მეურნეობის განვითარება, ელიტური კარტოფილის თესლის დანერგვა, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსება;
- რუსეთთან ურთიერთობის დალაგება;
- ამერიკასა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია.

ეს ივანიშვილის უახლოესი პოლიტიკური გეგმებია, რომელთა განხორციელებასაც ის 3 წელიწადში გეგმავს, შემდეგ კი პოლიტიკიდან წავა.

„უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს და იმის გაფიქრების სურვილიც კი არ გაუჩნდეს, რასაც სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა კადრულობს", – წერია განცხადებაში, რომლის შინაარსის განხილვაც გასულ კვირას მედიის მთავარი საქმიანობა იყო.

„უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა, რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს და იმის გაფიქრების სურვილიც კი არ გაუჩნდეს, რასაც სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა კადრულობს", – წერია განცხადებაში, რომლის შინაარსის განხილვაც გასულ კვირას მედიის მთავარი საქმიანობა იყო.

ივანიშვილის კრიტიკის ნომერ მეორე სამიზნე ქართული ოპოზიციურად განწყობილი მედია გახდა.

„მაესტროსა" და „კავკასიას" ივანიშვილმა სპეცდანიშნულების ფსევდოოპოზიციური მედიასაშუალებები უწოდა, რომლებიც მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი თავის წერილში საკუთარი გადაწყვეტილების ახსნას შეეცადა, წერილმა უფრო მეტი ბუნდოვანება შესძინა ოლიგარქის პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, თითქმის ყველა პოლიტიკური მიმომხილველი თანხმდება, რომ ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენა წინასაარჩევნო პერიოდს უფრო საინტერესოს გახდის.

თუკი ივანიშვილი მართლაც შეძლებს პოლიტიკური ძალის შექმნას, აშკარაა, რომ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც თავიანთ გეგმებში კორექტივების შეტანა მოუწევთ.

სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი ფიქრობს, რომ ივანიშვილის გააქტიურება ყველაზე მეტად ხელისუფლებას აზარალებს.

„არასოდეს ხელისუფლებას ისე კომფორტულად არ უგრძვნია თავი, როგორც დღეს. მან მოახერხა ძალაუფლების სრული მონოპოლიზაცია ყველა ფრონტზე. ოპოზიცია ძალიან სუსტია, დემორალიზებულიც კი. არსებობენ მცირერეიტინგიანი ოპოზიციური პარტიები, რომელთა არსებობა ხელისუფლებას მხოლოდ აწყობს ქვეყანაში დემოკრატიის ილუზიის შესაქმნელად. აი, ივანიშვილის გამოჩენით კი ეს ყველაფერი მკვეთრად იცვლება," – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვებით, მმართველ პარტიას 40-45 პროცენტიანი რეიტინგი აქვს. ამომრჩეველთა 55-60 პროცენტი კი ოპოზიციურადაა განწყობილი, თუმცა, კაჭკაჭიშვილის თქმით, არცერთ მათგანს მკვეთრად ჩამოყალიბებული არჩევანი რომელიმე ოპოზიციურ პარტიაზე არ შეუჩერებია. ივანიშვილს აქვს შანსი, რომ ამ ადამიანების მხარდაჭერა მოიპოვოს.

„ის მითოლოგიზებული ტიპია და ასეთების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულად მძაფრი პოლიტიკური მოლოდინები არსებობს. ივანიშვილს, შესაძლოა, დღეს ძალიან კარგი სასტარტო პოზიციები აქვს, თავიდან შეიძლება ბევრი მხარდამჭერიც მიიზიდოს, თუმცა ამავე დროს ეს მისი სუსტი წერტილიცაა. დიდი რისკია, რომ ხალხს მის მიმართ არსებული მოლოდინები არ გაუმართლდეს", – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

თავად იმ ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი, რომელთაც ივანიშვილის გამოჩენით შესაძლოა პოზიციები კიდევ უფრო შეუსუსტდეთ, რადიკალური განცხადებების გაკეთებისგან თავს იკავებს.

ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას აღტაცებით მხოლოდ რამდენიმე მათგანი შეხვდა. ქართული პარტიის ლიდერმა სოზარ სუბარმა ხაზი გაუსვა, რომ ბიზნესმენის ფინანსებზე მეტად, პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი ავტორიტეტი და მისდამი ნდობაა მნიშვნელოვანი.

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ „ადამიანი შეიძლება იყოს კარგი ბიზნესმენი, მაგრამ არა კარგი პოლიტიკოსი". „მემარჯვენეები" იმედოვნებენ, რომ ივანიშვილის გადაწყვეტილება დამოუკიდებელია და არ არის ნაკარნახევი მოსკოვიდან, სადაც მან „თავისი მილიარდები იშოვა".

ივანიშვილს რუსეთთან კავშირში ღიად ადანაშაულებენ მმართველი გუნდის წევრები.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი პავლე კუბლაშვილი ამბობს, რომ „ოლიგარქმა რუსეთში გააკეთა ბიზნესი და იქვე იშოვა ფული, რაც საკმარისი საბაბია, რომ რუსულ გავლენებზე ვიფიქროთ". მისი თქმით, მაშინ, როდესაც რუსეთიდან ქართველები საბარგო თვითმფრინავებით „გამოყარეს", ივანიშვილის ბიზნესს პრობლემები არ შექმნია.

„საქართველომ რეალურად მოისმინა რუსული შეთავაზება ქართული პოლიტიკის, ქართული მედიის და ქართული საზოგადოების ყიდვის შესახებ. ყველას ძალიან კარგად უნდა ესმოდეს, რომ არც ქართული საზოგადოება, არც მედია და არც ქართული სახელმწიფოებრიობა არ იყიდება. ასეთი მცდელობები კრახით მთავრდება. ქართულ პოლიტიკაში არასოდეს იქნება რუსული ფული და „პუტინის

ბიძინა ივანიშვილი 1956 წელს სოფელ ჭორვილაში დაიბადა. ოჯახის ხუთი შვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. სკოლაში კარგად სწავლობდა, ამიტომაც პირდაპირ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად, მეტალურგიულ ქარხანაში დამლაგებლად მუშაობდა. 1982 წელს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად მოსკოვის სარკინიგზო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. თავისუფალ დროს მოსწავლეებს ფიზიკაში ამეცადინებდა. აქ გაიცნო თავისი მომავალი პარტნიორი ვიტალი მალკინი. მათი პირველი საქმიანობა კომპიუტერებით, ტელეფონებით და სხვადასხვა ტექნიკით ვაჭრობა იყო. მალკინმა და ივანიშვილმა 100 ათასი დოლარი დააგროვეს და 1990 წელს ბანკი „როსიისკი კრედიტ"-ი დააარსეს. ივანიშვილმა მოსკოვში ასპირანტურაში სწავლისას მეორე სახელი – ბორისი დაირქვა. „ზოგი „ბუზინს" მეძახდა, ზოგი „ბენზინს". ერთხელაც გადავწყვიტე, რომ დამერქვა უბრალოდ ბორისი", – იხსენებს ბიზნესმენი „ვედომოსტისთან" ინტერვიუში.
1991 წელს ივანიშვილმა ცოლად ექიმის ქალიშვილი – 18 წლის ეკა შეირთო, მეზობელი სოფლიდან. ჰყავს ოთხი შვილი: უტა, ბერა, გვანცა და ცოტნე.

მიერ ნასესხები ან ნაბოძები თანხით“ პოლიტიკა არ გაკეთდება. ჩვენ უნდა გამოვრიცხოთ და ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ დავიცვათ ქართული პოლიტიკა რუსული ფულისგან“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

ამ ბრალდებების პასუხად ბიძინა ივანიშვილი პირობას დებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საფრანგეთისა და რუსეთის პასპორტებს დათმობს. გარდა ამისა, ამბობს, რომ საკუთარ გულწრფელობაში ხალხის დასარწმუნებლად რუსეთში მთელ თავის ბიზნესსა და ქონებას გაყიდის.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას ხელისუფლებიდან პირველი კონკრეტული რეაქცია უკვე მოჰყვა. სამშაბათს გავრცელდა ცნობა, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტეს. სამოქალაქო რეესტრში მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს, რომ 2004 წელს ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად საფრანგეთის მოქალაქეობაც მიიღო, რაც კანონით დაუშვებელია.

სამოქალაქო რეესტრის განცხადებაში აღნიშნულია:

„რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, ბიძინა გრიგოლის ძე ივანიშვილს 2004 წლის 22 ივლისს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს კონსტიტუციის და "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ჩატარდა წარმოება და დადგინდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მოიპოვა საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციისა და "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბიძინა ივანიშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა".

პოლიტიკაში ჩასაბმელად ივანიშვილს მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მოუწევს, რადგან სხვა ქვეყნის მოქალაქეს ქვეყნის პოლიტიკაში ჩართვის უფლებას კანონი უკრძალავს.

პოლიტიკური გუნდი, რომელთან მუშაობასაც ივანიშვილი აპირებს, ჯერ გამოკვეთილი არ არის. ერთადერთი ადამიანი, ვინც მისი გუნდიდან ამ ეტაპზე საზოგადოებისთვისაა ცნობილი, მისი პრეს-მდივანი ირაკლი ტრიპოლსკია.

ტრიპოლსკი ივანიშვილის ტელეკომპანია „მე-9 არხს“ ხელმძღვანელობდა, შემდეგ იყო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ასევე მონაწილეობდა 2011 წლის სახალხო კრებაშიც.

„ამ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გუშინ გავიგე, ჯერ არაფერი ვიცი ბიძინას სამომავლო გეგმებზე და არც იმ ადამიანებზე, ვისთან ერთადაც მუშაობას აპირებს“, – განუცხადა „ლიბერალს“ ირაკლი ტრიპოლსკიმ.

„იგი ისეთ დროს ებმება პოლიტიკაში, როცა, ერთი მხრივ, ხელისუფლება სრულადაა გაკოტრებული და შიშველ ძალას ეყრდნობა, მეორე მხრივ კი, ასევე სრულად აქვს ნდობა დაკარგული ოპოზიციურ სპექტრს, რაც ლამის იდეალურ პირობებს ქმნის მისთვის“, – აცხადებს „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი.

პოლიტოლოგები ფიქრობენ, რომ ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის წარმატება სწორედ პარტნიორების და თანაგუნდელების სწორად შერჩევაზე იქნება დამოკიდებული.

ივანიშვილი პირველი ქართველი ოლიგარქი არ არის, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა.

52 წლის ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც 2008 წლის თებერვალში, ლონდონში მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა, თავდაპირველად, ივანიშვილის მსგავსად, საკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი იყო.

2007 წელს პატარკაციშვილმა საკუთარი ტელევიზიის, „იმედის“ მეშვეობით სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო, რომელიც 2007 წლის ნოემბერში მრავალათასიანი მიტინგებითა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებით დასრულდა.

სააკაშვილის ოპონენტებს შორის პატარკაციშვილი ერთადერთი იყო, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ ლიდერისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა მოახერხა.

„რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ პატარკაციშვილსა და ივანიშვილს შორის განსხვავება დიდია და ივანიშვილს უფრო დიდი შანსი აქვს, ხელისუფლებას წარმატებით დაუპირისპირდეს.

„სანამ საქართველში ჩამოვიდოდა, პატარკაციშვილი უკვე ჩაბმული იყო და აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის პოლიტიკაში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს აფინანსებდა, ივანიშვილი კი აქამდე არ მონაწილეობდა პოლიტიკურ ბატალიებში და ძირითადად ქველმოქმედებით იყო დაკავებული. ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება, მას რამე წამოაძახოს და კრიმინალთან დააკავშიროს. მნიშვნე-

ლოვანია ისიც, რომ პატარკაციშვილი რუსეთის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებული იყო, ივანიშვილს კი მშვენიერი ურთიერთობა აქვს, რაც ხალხის თვალში პლუსია და არა მინუსი", – ამბობს დავით ზურაბიშვილი.

„თანაც, იგი ისეთ დროს ებმება პოლიტიკაში, როცა, ერთი მხრივ, ხელისუფლება სრულადაა გაკოტრებული და შიშველ ძალას ეყრდნობა, მეორე მხრივ კი, ასევე სრულად აქვს ნდობა დაკარგული ოპოზიციურ სპექტრს, რაც ლამის იდეალურ პირობებს ქმნის მისთვის," – დასძენს იგი.

პოლიტიკაში მოსასვლელად ივანიშვილი, პირველ რიგში, ტელევიზიის ყიდვასა და ჟურნალისტების გადაბირებას აპირებს. ამის შესახებ განცხადება ოლიგარქმა საკმაოდ უცნაური ფორმით გააკეთა, რამაც მედიის წარმომადგენლების გაღიზიანება გამოიწვია. პოლიტიკური მიმომხილველები ამბობენ, რომ ივანიშვილის განცხადებაში სწორედ მედიაზე გაკეთებული აქცენტები იყო ყველაზე სუსტი.

„ახალ პოლიტიკურ ძალას პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობის მოსაპოვებლად საინფორმაციო უზრუნველყოფა სჭირდება და ბუნებრივია, რაღაც გზებს მოძებნის ამისთვის, მაგრამ ურთიერთობის ის ფორმა, რაც ტელევიზიებს და ჟურნალისტებს შესთავაზა პარტიის შტაბში წასვლასთან დაკავშირებით, მე ნამდვილად არ მომეწონა და არც მეგულება ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ეს იყო კარგი და კორექტული ფორმა", – განაცხადა ჟურნალისტმა ია ანთაძემ.

ივანიშვილი თავის წერილში ჟურნალისტებთან და მედიამფლობელებთან ღიად ვაჭრობს – საინფორმაციო ლიცენზიის მფლობელებს ღირებულებაზე სამჯერ მეტ თანხას სთავაზობს, ორ წელიწადში კი სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად უკან დაბრუნებას ჰპირდება. ივანიშვილი არ მალავს, რომ მედია პარტიის პროპაგანდისთვის, „საწყისი მუხტის შესაქმნელად" სჭირდება.

„დღეიდან ყველა ჟურნალისტს, ვისაც თავისი ობიექტურობისა და პრინციპულობის გამო სამსახურიდან დაითხოვენ, ვთავაზობ ადგილს მომავალი პოლიტიკური პარტიის შტაბში არანაკლები ანაზღაურებით, რომელიც მათ ახლა გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ისინი პრივილეგირებული იქნებიან მომავალ საინფორმაციო ცენტრში თანამშრომლების შერჩევის დროსაც", – განაცხადა ივანიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა პოლიტიკოსმა და ექსპერტმა ივანიშვილის განცხადება გააკრიტიკა, ყველა თანხმდება, რომ მას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

პოლიტიკოსებიც და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც ბიზნესმენის პირველ საჯარო გამოსვლას ელიან, რომელიც სავარაუდოდ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე" შედგება. ბიძინა ივანიშვილი კითხვებზე პასუხის გასაცემად 14 ოქტომბრიდან არის მზად, მანამდე კი მისი პოპულარობის საზომად სოციალური ქსელი „ფეისბუკი" თუ გამოდგება.

„ფეისბუკზე" თავად ბიზნესმენი არ არის დარეგისტრირებული, მაგრამ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი მომღერალი შვილი – ბერა.

„მოვიდა დრო, ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!!!" – ამ ფრაზით ბერამ „ფეისბუკში" მამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი. ზუსტად ორ დღეში, სტატუსმა 3000-მდე მომხმარებლის მოწონება დაიმსახურა.

„იმედი გამიჩნდა, რომ გადავრჩებით";

„ბიძინა ყველაზე დიდი ქართველია დღეს";

„ღმერთის წყალობა და პოლიტიკაში მწვანე გზა „სამების" აღმშენებელს!" – წერდნენ სოციალური ქსელის მომხმარებლები.

თუმცა, მიუხედავად ამ ეიფორიისა, ჯერჯერობით, ივანიშვილის მიმართ გამოხატული მხარდაჭერა ისეთივე ვირტუალურია, როგორც თავად ოლიგარქი და მხოლოდ იმ მითებს ეფუძნება, რაც მის შესახებაა გავრცელებული.

თუ ინფორმაცია ივანიშვილის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ასევე მორიგი ლეგენდა არ არის, მაშინ ოლიგარქი ჩრდილიდან უნდა გამოვიდეს, თავისი პარტიის პოლიტიკური კურსი მკაფიოდ განსაზღვროს და ის გუნდი წარადგინოს, რომელსაც დაეყრდნობა. მას ასევე მოუწევს საჯარო განცხადებების გაკეთება, რადგან ინტერნეტში გავრცელებული ორიოდე ფოტოსურათითა და „ქართუ ჯგუფის" მიერ გაკეთებული განცხადებებით პოლიტიკაში წარმატების მიღწევა 5-მილიარდიანი ქონების პატრონსაც გაუჭირდება.

ივანიშვილის ქონება

2011 წლის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილი „ფორბსის" უმდიდრეს ადამიანთა სიაში 185-ე ადგილზეა. მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.
ამჟამად ფლობს „როსიისკი ბანკისა" და „იმპეკსბანკის" აქციათა 67 პროცენტს, ასევე 100 პროცენტიან წილს კომპანია „ინტერფინ ტრეიდსა" და მმართველობით კომპანია „უნიკორში". თავის მხრივ, „უნიკორი" 100 პროცენტით მართავს შემდეგ კომპანიებს: „ნივა", „სტოილენსკი", „ტიაჟმეხპრესი", „რტი – კაუჩუკი", ურალში რადიოტექნიკური ნაწარმის ქარხანა, ფარმაცევტული კომპანია „ერკაფარმა", სასტუმროებს „მინსკი" და „ცენტრალნაია", სადაზღვევო კომპანია „რკ გარანტი", აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის აქციების 28,5 პროცენტი, სატრანსპორტო კომპანია „წიაღისეულის გადაზიდვის ცენტრი".
საქართველოში მის მფლობელობაშია ბანკი „ქართუ" და კვების პროდუქტების კომპანია „თოლია".

რეპორტაჟი

ივანიშვილის სამფლობელო

ივანიშვილის შესახებ დანარჩენი საქართველოსთვის ლეგენდად ქცეული ისტორიები ჭორვილაში ცოცხლდება, თუმცა აქ, მის მშობლიურ სოფელშიც, მასზე ისე ჰყვებიან, როგორც მითურ პერსონაჟზე.

ავტორი, ფოტო: მაია წიკლაური

საჩხერის გზიდან თეთრად შეღებილ, თანამედროვე არქიტექტურის სახლებს თუ მოკრავთ თვალს, წითელი და მწვანე სახურავებით, შეიძლება იფიქროთ, რომ რომელიმე ევროპულ სოფელში მოხვდით. არადა, ეს ბიძინა ივანიშვილის სოფელი ჭორვილაა.

„ღმერთს ებარებოდეთ“, – ეს ფრაზა, საჩხერის რაიონის აღმნიშვნელ აბრასთან ერთად, შესასვლელშივე ჰკიდია.

ალაგ-ალაგ ამოთხრილი ასფალტიანი გზის გასწვრივ, საჩხერემდე 6 კილომეტრის დაშორებით, ჩამოქცეული სახლებისა და ჟანგიანი ღობეების მიღმა, მწვანედ შეფერილ მთის ფერდობებზე წითელ- და მწვანესახურავიანი სახლები მიმოფანტულა.

ფერდობებისკენ გზას წითელი ფერის გაზის მილი მიუყვება. ავტომანქანა ჯანჯღარს წყვეტს და სწორ გზაზე გადადის. რაც უფრო უახლოვდება ფერდობებს, მით უფრო მატულობს წითელ-მწვანე სახურავების რაოდენობა.

„ჭორვილა“ – გვხვდება აბრა წარწერით.

ჭორვილა საჩხერის რაიონის ერთ-ერთი სოფელია. საქართველოში არცერთ სოფელზე არ დადის იმდენი ლეგენდა, რამდენიც ჭორვილაზე. ჭორვილელები ამბობენ, რომ მათ თავიანთი „მამა-მარჩენალი“ ჰყავთ.

„ის არის ჩვენი პრეზიდენტიც, გამგებელიც და გადამრჩენიც. დიდებული კაცია, ფაქტობრივად, ღმერთია ჩვენთვის, საჩხერლებისთვის“, – ამბობენ სოფელში.

აქ „მას“ ყველა ოჯახში დღეში ერთხელ მაინც ახსენებენ, სუფრაზე ერთ სადღეგრძელოს აუცილებლად მისას სვამენ. ყველა ოჯახში არის ნივთი, რომელიც მის სახელს უკავშირდება.

ეს კაცი რუსეთში გამდიდრებული ბიზნესმენი 55 წლის ბიძინა ივანიშვილია.

ივანიშვილის შესახებ დანარჩენი საქართველოსთვის ლეგენდად ქცეული ისტორიები ჭორვილაში ცოცხლდება, თუმცა აქ, მის მშობლიურ სოფელშიც, მასზე ისე ჰყვებიან, როგორც მითურ პერსონაჟზე.

უკვე წლებია, აქაურებს იგი თვალით არ უნახავთ, მხოლოდ გრძნობენ, რომ „ის სადღაც აქ არის“.

„ხანდახან დავინახავთ ხოლმე მაგის ვერტმფრენს და მაგით ვხვდებით, რომ ან მოვიდა, ან მიდის“, – ამბობს სიმინდის ყანაში მომუშავე 72 წლის ავთანდილი.

ჭორვილა საჩხერის რაიონში და, შესაძლოა, მთელ საქართველოშიც ყველაზე კეთილმოწყობილი სოფელია და გარეგნულად რომელიმე ევროპული ქვეყნის პროვინციას ჩამოჰგავს.

სოფლის მთავარ ქუჩებზე ასფალტია დაგებული, 5 სახლის გამოტოვებით ლამპიონები და მეტალის სანაგვე ურნებია ჩარიგებული.

სოფლის ცენტრში ახლად აშენებული, თეთრად შეღებილი სახლები დგას. ყველა ეზოში სატელიტური ანტენაა დამონტაჟებული. სადად, ერთ ფერში შეღებილი ღობეების მიღმა, მწვანედ მობიბინე, მოვლილი ბალახი და სიმეტრიულად დარგული ფერადი ყვავილები ჩანს. ყვავილების ქოთნები აქ სახლების აივნებზეც დაუკიდიათ.

სოფლის ერთ-ერთი ახალმოსახლე ყვება, რომ ახლად გაკეთებული შიფერის სახურავი აქაურებმა დააშლევინეს

და წითელი ფერის სახურავი გაუკეთეს – „მითხრეს, სხვანაირი სახურავი აქაურ სახლს არ უნდა ჰქონდესო!“

ეზოში მოფუსფუსე ხალხი შეშასა და სიმინდს აბინავებს. უცნაურ სიჩუმესა და სიმყუდროვეს, აქ მხოლოდ სამშენებლო ხმები თუ არღვევს, რომლებიც სადღაც სოფლის სიღრმიდან ისმის.

ჭორვილაში ჟურნალისტებთან საუბარი არ უყვართ, რადგან „ეს არ მოსწონს ბიძინას“. ივანიშვილის ხსენებაზე მის სამეზობლოში კარს ხურავენ და უარის ნიშნად თავს გვერდზე იქნევენ. „არ მოსწონს, როდესაც მასზე რაიმეს ვყვებით. რატომ უნდა გავაღიზიანოთ?!“ – ამბობს მისი მეზობელი ქალბატონი.

თავად ბიძინა ივანიშვილის სახლთან მიახლოება შეუძლებელია.

სოფლის განაპირას ხეებში ჩაფლული თეთრი ფერის სასახლე მხოლოდ ბუნდოვნად მოჩანს. ეზოში სპორტული კომპლექსის და სათბურების გარჩევა შეიძლება.

ეზოში დიდი ფუსფუსია. ზოგი ახალ სათბურს აშენებს, სხვებს სათბურებიდან მარწყვის ნერგებით სავსე ხის ყუთები გამოაქვთ და ღია, სამთვლიან მანქანაში ტვირთავენ. ამ ყველაფერს უხმაუროდ, საუბრის გარეშე აკეთებენ.

ეს ნერგები ადგილობრივებს თავიანთ ეზოში გადასარგავად ბიძინა ივანიშვილმა აჩუქა. ივანიშვილის მთავარი აგრონომი ორი სიტყვით გვიხსნის, რომ მარწყვის ნერგი თავის მიწასთან ერთად 20 წუთით წყალში უნდა გავაჩეროთ, შემდეგ კი სპეციალურად მომზადებულ ქოთანში, ან მიწაში ჩავრგოთ.

სოფელში ჰყვებიან, რომ ივანიშვილი კვადრატულ მეტრ მიწას მოსახლეობისგან 5 ლარად იძენს და შემდეგ ამავე მიწაზე ადგილობრივებს ასაქმებს.

„ზოგს ახალი სახლი აუშენა, ზოგს ძველი გაურემონტა, თავის სამეზობლოს 200-200 ლარს უხდის ყოველთვე. ეს თანხა ყველას „ქართუ-ბანკის“ ბარათზე ერიცხება. რიტუალების სახლი ააშენა და ქორწილია, გასვენება, თუ ნათლობა, იქ აღვნიშნავთ ყველანი. სუფრის ფულსაც არ ვიხდით. საავადმყოფოც მაგან გააკეთა საჩხერეში და უფასოდ ვმკურნალობთ, ყველას აქვს „ქართუს“ სადაზღვევო ბარათი. რამდენიმე სკოლა გაარემონტა ამ რაიონში, მეურნეობა მოაწყო, სადაც ხალხია დასაქმებული“, — ჰყვებიან ადგილობრივები.

თითქმის არცერთმა ჭორვილელმა არ იცის, სად არის მათი გამგეობა, ან ვინ არის სოფლის გამგებელი. „აქ გამგეობაც და გამგეც ბიძინა და მისი ხალხია“, – გიპასუხებთ ყველა.

> **ჭორვილაში ჟურნალისტებთან საუბარი არ უყვართ, რადგან „ეს არ მოსწონს ბიძინას“. ივანიშვილის ხსენებაზე მის სამეზობლოში კარს ხურავენ და უარის ნიშნად თავს გვერდზე იქნევენ. „არ მოსწონს, როდესაც მასზე რაიმეს ვყვებით. რატომ უნდა გავაღიზიანოთ?1“**

ჭორვილას გამგეობის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც საკუთარი ვინაობის დასახელება არ სურს, ასე ხსნის სოფლის ადმინისტრაციის ფუნქციას: „ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ?! სოფელში პრობლემა უმუშევრობაა და თუ ვინმე ბიზნესმენი მოვა, დაასაქმებს ხალხს, ჩვენ რაღა გვრჩება გასაკეთებელი? ჩვენი შენობაც ბიძინამ გააკეთა, საჩხერის პოლიციაც“.

ჭორვილას სკოლაში უკვე 2000 წლიდან არის აუზი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ფეხბურთის მოედანი, კომპიუტერის კლასი და უფასო კვება. ჭორვილელი ბავშვების ოჯახებს სასკოლო წიგნების შეძენა არ უწევთ, რადგან სკოლა მათთვის თავად ყიდულობს.

აქაურები ჰყვებიან, რომ თავის დროზე ჭორვილას სკოლაში ბიძინა ივანიშვილის ბავშვებიც დადიოდნენ.

20 წლის თამთა, რომელიც ახლა ლათინური ცეკვების მასწავლებელია და სურამში ცხოვრობს, იხსენებს, რომ ბავშვობაში ივანიშვილის შვილებთან ერთად სასკოლო სპექტაკლებში მონაწილეობდა:

„ჩვენს სკოლაში ძალიან კარგი თეატრ-სტუდიაა, ბიძინამ გაგვიკეთა. ჩემს დროს იქ ბიძინას შვილებიც დადიოდნენ. ერთხელ „იავნანამ რა ჰქმნა“ დავდგით, ბიძინას სამი შვილი მონაწილეობდა ჩვენთან ერთად: ბერა ლეკი იყო, გვანცა – ქეთოს როლში, უფროსი შვილი უტა – ნაიბის. ჩვენს სპექტაკლებს ბიძინა თავადაც ესწრებოდა ხოლმე. მარტო სპექტაკლებს კი არა, რეპეტიციებზეც მოდიოდა. სპექტაკლების დროს ფოტოების გადაღება სასტიკად იყო აკრძალული, ყველგან დაცვა იდგა – განათებასთან, კლასებში, დარბაზში. გადამცემებით დადიოდნენ აქეთ-იქით“.

თამთა ამბობს, რომ მისი კლასელების უმრავლესობა სკოლის დამთავრების შემდეგ ჭორვილაში დარჩა. მათ სწავლა აღარ გააგრძელეს, რადგან ივანიშვილთან მუშაობა არჩიეს.

აქაურების თქმით, სოფელი ივანიშვილის მოსვლამდე ძალიან გაჭირვებული იყო. აქ მხოლოდ მოხუცები ცხოვრობდნენ, ივანიშვილმა კი სოფელს ახალგაზრდები დაუბრუნა.

27 წლის ეკა 2 შვილთან, მეუღლესთან და დედამთილთან ერთად უკვე 4 წელია თბილისიდან ჭორვილაში გადმოსახლდა.

„ჩემი მეუღლე წარმოშობით აქედანაა და მიწაც აქ ჰქონდა. თბილისში სამუშაო არ გვქონდა და აქ ჩამოვედით. ბიძინამ ჩემი ქმარი მშენებლობაზე დაასაქმა, მერე სახლიც აგვიშენა. საკუთარი სახლის მშენებლობისთვისაც კი უხდიდა ჩემს მეუღლეს ხელფასს. ახლა მე არ ვმუშაობ, მაგრამ მეუღლე საჩხერეში ბიძინას აშენებული საავადმყოფოს დაცვაში მუშაობს, თან ყოველთვიური ხელფასიც გვაქვს, როგორც ყველას“, – გვიყვება ეკა.

ჭორვილელი ბიჭები სასურველ სასიძოებად ითვლებიან, განსაკუთრებით მიმდებარე სოფლებში. დაქორწინებისას ბიძინა ივანიშვილი მათ 3000

დოლარს ჩუქნის და ცალკე სახლსაც უშენებს. ჭორვილაში მცხოვრები 300 ოჯახისა და მიმდებარე სოფლებში გაჭირვებული ოჯახების მსგავსად, ახლად დაქორწინებულებს 200-ლარიან ყოველთვიურ ხელფასსაც უნიშნავს და ქორწილსაც უფასოდ უხდის თავის მიერ აშენებულ რიტუალების სასახლეში.

რიტუალების სასახლე ჭორვილას ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. სოფლის განაპირას ორსართულიან მრგვალ შენობას გარშემო მწვანე, ერთ დონეზე გაკრეჭილი გაზონები აკრავს.

სტუმრებს რიტუალების სასახლეში 20-მდე ადამიანი ემსახურება – მზარეულები, დამლაგებლები, მუსიკოსები, მრეცხავები. მათი საშუალო ხელფასი 500 ლარია.

ჭორვილელები აქ იხდიან ქორწილებსაც და ქელეხის სუფრაც აქ იშლება.

ივანიშვილმა თანასოფლელებს რიტუალების სასახლე აუშენა, სადაც ქორწილის, გასვენების, ნათლობის, ან რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნა ყველას უფასოდ შეუძლია.

ჭორვილას სკოლა ივანიშვილმა 2000 წელს გაარემონტა. სკოლის შენობაში სპორტული დარბაზი, აუზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის კლასი და თეატრსტუდიაა მოწყობილი.

ჭორვილელები ძირითადად ივანიშვილის სასათბურე მეურნეობაში და მშენებლობებზე არიან დასაქმებულნი.

შენობაში არის „სადედოფლო ოთახი“, სპეციალურად ახალდაქორწინებულებისათვის. ზამთრის ბაღი, რომლითაც ჭორვილელები ამაყობენ. მწვანეში ჩაფლული აივანი, საიდანაც მთელი სოფელი მოჩანს – აქ წყვილები ხელს აწერენ.

სასახლის ხელმძღვანელებს სოფლის მოსახლეობისგან მომსახურების სანაცვლოდ ერთი თეთრის აღების უფლებაც არ აქვთ. შესაძლოა, ამის გამო სამსახურიც კი დაკარგონ. აქაურების თქმით, რიტუალების სახლის მშენებლობა ბიძინა ივანიშვილს 5 მილიონი ლარი დაუჯდა.

„ბიძინამ დაახლოებით ორი წელი შეაფერხა ამ შენობის მშენებლობა, რომ ასწლოვანი ხე არ მოეჭრა. ბიძინას ძალიან უყვარს ბუნება და სანამ მშენებლებს ეს ხე პროექტში არ ჩაასმევინა, არ მოისვენა“, – გვიყვება ერთ-ერთი ჭორვილელი.

ჭორვილაში ვერ ვნახეთ ვერავინ, ვი-

საც დღეს პირადად აქვს ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან.

მეზობლები ამბობენ, რომ ბიძინას დედასაც კი, რომელიც მუდმივად ჭორვილაში ცხოვრობს, ძალიან იშვიათად სტუმრობენ და ქუჩაში თუ შეხვდებიან.

„მასთან სახლში არ მივდივართ, ვცდილობთ, არ შევაწუხოთ“, – ამბობენ ივანიშვილის დედის მეზობლები.

იმ სახლს, სადაც ივანიშვილის დედა ცხოვრობს, აგურით ნაშენი მაღალი ღობე აქვს შემოვლებული. სახლთან ვერცხლისფერი „ლენდკრუიზერი“ დგას. უცხო ადამიანის მიახლოებისას მანქანიდან რამდენიმე ათლეტური აღნაგობის მამაკაცი გადმოდის. ჩვენს ვინაობას და სოფელში ჩამოსვლის მიზანს არკვევენ და ღობესთან მიახლოების საშუალებას არ გვაძლევენ.

ივანიშვილის საქმეებს ჭორვილაში მისივე ნათესავი ვეფხია ივანაშვილი და კიდევ რამდენიმე პიროვნება განაგებს. ვეფხია ივანაშვილი, სავარაუდოდ, ის ადამიანია, რომელსაც ჭორვილაში ჩამოსულ ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირი კონტაქტი აქვს. თუმცა, ოლიგარქი ნათესავის მსგავსად, საზოგადოებაში გამოჩენას ისიც გაურბის.

„ვეფხია კომენდანტია სოფელში. ბიძინამ თვითონ დანიშნა და მაგას ავალებს ყველაფერს. მგონი, დიდ სამშენებლო საწარმოსაც, რომელიც საჩხერეში აქვს, ვეფხია განაგებს. სოფელში თუკი რამეა გასაკეთებელი, ყველაფერი ვეფხიაზეა და კიდევ რამდენიმე ადამიანზე. ესენი დადიან სოფელში, იგებენ ვის რა პრობლემა აქვს, რა სჭირდება. ვეფხია წყვეტს, ვინ სად უნდა იმუშაოს, ვის აუშენონ სახლი“, – გვიყვება ჭორვილელი 58 წლის თემური.

ივანიშვილს უკმაყოფილო თანასოფლელებიც ჰყავს. ჭორვილა ორ ნაწილადაა გაყოფილი – იმ ადამიანებად, ვინც ივანიშვილის მიერ დანიშნულ პირებთანაა დაახლოებული და მათთან მუშაობენ, და იმ ადამიანებად, რომლებიც არ მუშაობენ და უბრალოდ 200-ლარიან ხელფასს იღებენ; ასევე იმ ადამიანებად, ვისაც ახალი სახლები აუშენეს და იმ ადამიანებად, ვისაც უბრალოდ ძველი სახლები გაურემონტეს.

თუმცა, მასზე ცუდს არავინ ამბობს. ამ „უთანასწორობაში“ ზოგიერთები იმ ადამიანებს ადანაშაულებენ, ვინც სოფელში ბიძინას დავალებას ასრულებს. იმასაც ამბობენ, რომ ბიძინამ აქაურები მუქთა ფულს მიაჩვია. მაგალითად, სოფლის გარეუბნებში არის სახლები, რომელთა მშენებლობაც დიდი ხნის

ივანიშვილის საქმეებს ჭორვილაში მისივე ნათესავი ვეფხია ივანაშვილი და კიდევ რამდენიმე პიროვნება განაგებს. ვეფხია ივანაშვილი, სავარაუდოდ, ის ადამიანია, რომელსაც ჭორვილაში ჩამოსულ ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირი კონტაქტი აქვს.

წინ სახლის მეპატრონეებმა თავად დაიწყეს, თუმცა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ მშენებლობა შეაჩერეს. ყველას იმედი აქვს, რომ მათი ჯერიც მოვა.

„ველოდებით, როდის მოვა ჩვენი რიგი, რომ ბარემ ჩვენც აგვიშენოს. თუ მოუნდება გაგვიკეთებს. საერთოდ, ისეთი ადამიანია, იცის როდის, რა და ვის უნდა გაუკეთოს“, – ამბობს 42 წლის ელზა.

აქაურები იმასაც იხსენებენ, რომ წლების წინ საჩხერის სოფლებში ბუნებრივი აირი პირველად სწორედ ივანიშვილმა გამოიყვანა. „წარმოიდგინეთ, გაზის და შუქის საფასურს პირველი რამდენიმე წელი არავინ ვიხდიდით. იმდენად არ ედარდებოდათ აქაურებს, რომ არაეკონომიურად ხარჯავდნენ. ბიძინამ ლიმიტებიც დაგვიწესა, მაგრამ მაინც ზედმეტად ბევრს ვხარჯავდით, ბოლოს გადახდა შეგვიწყვიტა. მართალია ეს კაცი. უმადური ხალხი ვართ“, – გვიყვება ჭორვილელი ავთანდილი.

შაბათი დღეა და სოფლის გარეუბანში, რიტუალების სასახლესთან ბევრი ხალხია შეკრებილი. ბავშვის ნათლობას აღნიშნავენ. „ორასკაციანი ნათლობაა“, – გვეუბნება ერთ-ერთი სტუმარი.

გამოპრანჭული სტუმრები თეთრი და ოქროსფერი ფერებით გაწყობილ საზეიმო დარბაზში ინაცვლებენ.

ნათლობას ქუთაისიდან ჩამოსული ნათესავებიც ესწრებიან. ისინი თვალებგაფართოებული აკვირდებიან ყველა დეტალს და ერთმანეთში მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკობენ. „ასეთი რამე ფილარმონიაშიც არ მინახავს“, – ამბობს ერთი ქალბატონი.

ჭორვილელები ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლაზე ლაპარაკობენ. ბევრს ამ ინფორმაციის არ სჯერა:

„მართლა მიდის პოლიტიკაში? იქნებ ჭორია, თვითონ ხომ არაფერი უთქვამს?!“

ჭორვილაში ფიქრობენ, რომ თუ ივანიშვილი პოლიტიკაში წავა, მათ „სოფელს ბიძინას ხელი მოაკლდება“.

„ამდენ რამეს აკეთებდა ეს ოქროსავით კაცი ჩვენთვის და ახლა მიდის აქედან, ხელიდან გვეცლება“;

„არა, ქვეყნისთვის კი კარგი იქნება, რასაც აქ აკეთებდა, ქვეყანაში უკეთესად გააკეთებს“;

„პუტინის მეგობარი ყოფილა და იქნება დაგვიბრუნოს ოკუპირებული მიწები და გავერთიანდეთ სამუდამოდ“;

„ხომ იცით, ეგეთ გადაწყვეტილებას თავისით არ მიიღებდა, აიძულა ვიღაცამ, ან რაღაცამ“;

„თუ რამის გაკეთება გადაწყვიტა, უკან არ დაიხევს“;

„ახლა იფიქრებენ, ამდენი სიკეთე იმიტომ გააკეთა, რომ ხმები უნდოდა. ჯობდა დარჩენილიყო ისევ ისე, როგორც იყო, არავინ არ იტყოდა მასზე ცუდს. ახლა მის ლანძღვას დაიწყებენ,“ – საუბრობენ ჭორვილელები ერთმანეთში.

ივანიშვილის სამფლობელოს შებინდებისას ვტოვებთ. შებინდებისთანავე ჭორვილას ქუჩებში ლამპიონები ინთება. გზიდან ჭორვილა სიბნელეში განათებულ წერტილად მოჩანს.

კომენტარი

ახალი პოლიტიკური ხეალობა

გიორგი მარგველაშვილი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი

თუ ივანიშვილი რუსული პროექტია, არის შანსი, რომ ეს პოზიტიური მოვლენა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში რამდენიმე ვერსია აქტიურად განიხილება. პირველს – რომ ივანიშვილი ხელისუფლების პროექტია, არარეალურად მივიჩნევ – ვერ ვხედავ რეალურ მოტივაციას იმაში, რომ ივანიშვილმა მმართველი გუნდის თამაში ითამაშოს, რისთვის? მხოლოდ გაურკვეველი ანტურაჟის შესაქმნელად?

განიხილება და რეალურია მოსაზრება, რომ ივანიშვილი შეშფოთებულია ქვეყანაში არსებული უსამართლობით და თავად გადაწყვიტა არსებული რეჟიმის შეცვლა. ასეთი ემოცია ბევრ ადამიანს შეიძლება გასჩენოდა საქართველოში, მათ შორის – ივანიშვილსაც. თუმცა, ასეთი შემთხვევა ნაკლებად საინტერესოა ჩემთვის, ვიდრე ის ვერსია, რომლის მიხედვითაც ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა რუსეთის სახელისუფლებო წრეებში შეთანხმებული პროექტია.

ეს მესამე შემთხვევა მე უფრო რეალურად და ბევრად უფრო საინტერესოდ მიმაჩნია. მეტიც, ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს. როდესაც მის რუსეთთან კავშირზე საუბრობენ, ამ ფაქტს შესაძლო პოზიტიური კუთხიდან განვიხილავ: საკითხი ასე დგას, ივანიშვილი წარმოადგენს რუსეთის ხელისუფლების ქართულ პოლიტიკაზე ზემოქმედების მშვიდობიან და პოზიტიურ ვარიანტს. ასეთ შემთხვევაში მის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში გარკვეულწილად დადებითი პროცესი შეიძლება მოჰყვეს. ეს არის შემთხვევა, როდესაც რუსეთი გვთავაზობს, უფრო სწორად ცივილიზებულ სამყაროს სთავაზობს და არა მაინცდამაინც ჩვენ, ე.წ. Soft Power Solution-ს, ანუ არა ძალადობით, არა ტანკებით, არამედ ქართულ პოლიტიკაში წარმოდგენას მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალის სახით.

■ არის შანსი, რომ რუსეთმა უარი თქვას ტანკებსა და ჩექმით საქართველოში წესრიგის დამყარებაზე. ასეთ შემთხვევაში, რუსეთის წარმოდგენას ქართულ პოლიტიკასა და სახელმწიფო სისტემაში პოზიტიურად შევაფასებდი.

რუსეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია – იქ არც ზღვაა, არც ოკეანე, არც დაუსახლებელი სტეპი. და ჩვენ, სამწუხაროდ, რუსეთის ახლო სამეზობლო ვართ – რომელზეც იგი გავლენას ამა თუ იმ დოზით და ამა თუ იმ ფორმით აუცილებლად გაავრცელებს. ამ რეალობას აღიარებს მსოფლიო, მას ვერ ხედავდა მხოლოდ ჩვენი პოლიტელიტა, და მეტიც, მთლიანად პოსტსაბჭოთა არეალის გეოპოლიტიკურ მოდელირებას ტრაგიკული ინფანტილიზმით გეგმავდა. და თუკი ეს ვერსია რეალურია, რომ ივანიშვილი რუსული Soft Power პროექტია, არის შანსი, რომ რუსეთმა უარი თქვას ტანკებსა და ჩექმით საქართველოში წესრიგის დამყარებაზე. ასეთ შემთხვევაში რუსეთის წარმოდგენას ქართულ პოლიტიკასა და სახელმწიფო სისტემაში – რეალობისთვის თვალის გასწორებას, ისტერიის დამთავრებას და ბალანსის ძიებას – პოზიტიურად შევაფასებდი.

თუმცა ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუკი ხელისუფლებაში მოვა, ის გაასხვისებს თავის აქტივებს რუსეთში და უარს იტყვის რუსეთის მოქალაქეობაზე. მოქალაქეობაზე უარის თქმას, რა თქმა უნდა, პოზიტიურად შევაფასებდი, მაგრამ, თუკი ის თავის კაპიტალს გაასხვისებს, გამოდის, რომ არ ენდობა რუსეთის ხელისუფლებას და არ არის მათთან შეთანხმებული. არადა ჩემთვის, როგორც აღვნიშნე,

ივანიშვილი საინტერესოა მაშინ, თუკი ის ქართულ პოლიტიკაში რუსული პოლიტიკის ცივილიზებული ფორმით წარმომდგენია.

მეორე საკითხია, როგორ შემოვიდა ის ქართულ პოლიტიკაში; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მან ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური სახე დაამკვიდრა. მეტიც, გამონაკლისია იმ მეცენატთა შორის, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში მოღვაწეობდნენ. ჩვენთან ხომ თუ ფულს დებენ რაიმე საქველმოქმედო საქმეში, მიაჩნიათ, რომ ამ სფეროს ექსპერტები არიან და რადგან ფული აქვთ, მხატვარზე კარგად ხატავენ, პოეტზე კარგად უჭრით რითმა და მომღერალზე კარგად მღერიან. ივანიშვილის სტილი, ამ თვალსაზრისით, ბევრად უფრო ცივილიზებულია. ახლა უკვე ის თვითონ, პიროვნულად მიდის პოლიტიკაში და აცხადებს, რომ წარმატების მოსაპოვებლად მედია სჭირდება და გააკეთა კიდეც განაცხადი მედიასაშუალების შეძენაზე. „მაესტროსა“ და „კავკასიას“ ფსევდოოპოზიციური უწოდა – ეს კონკრეტული განცხადებაა. პირადად მე ვერცერთი ტელევიზიის მენეჯმენტის მიმართ პოზიციას ვერ გამოვხატავ – ორივეს რესპონდენტი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ ამ არხების ჟურნალისტებისგან არასდროს მიგრძვნია ზეწოლა, გაყალბების სურვილი, გამიზნული დისბალანსი. არ ვიცი, როგორ უნდა მუშაობდეს ტელეკომპანიის მენეჯმენტი, მაგრამ ვიცი სხვა – ნორმალურ სახელმწიფოში და საზოგადოებაში როგორ უნდა იქცეოდეს პოლიტიკოსი. ამ შემთხვევაში, „მტკიცების სიმძიმე“ ბრალმდებელზეა. შესაბამისად, ივანიშვილს უნდა მოეტანა არგუმენტები, თუ რატომ მიაჩნია, რომ ეს კომპანიები შეკრული არიან ხელისუფლებასთან. თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ამ არხების არსებობას დემოკრატიზაციის საჩვენებლად იყენებს, არ ნიშნავს შეკვრას. მისი არგუმენტები სუსტი იყო ამ თვალსაზრისით.

ხშირად პარალელს ავლებენ ბადრი პატარკაციშვილთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახლა სრულიად განსხვავებული სიტუაციაა და მათი შედარება არ შეიძლება. მეტიც, მგონია, რომ პატარკაციშვილთან შედარება, თავიდანვე, ივანიშვილის წინააღმდეგ მომზადებული ნეგატიური პიარ-კლიშეა. რაც უნდა იყოს, მაშინ უფრო ძლიერი ოპოზიცია იყო, ვიდრე დღეს არის. დღეს ივანიშვილი ქმნის ახალ გუნდს ბევრად უფრო სუსტი შემადგენლობით. ეს საინტერესო პროცესი იქნება. მაგრამ, მე რომ ვქმნიდე რაიმე ახალს, ახალ გუნდს ყველაზე მეტად „ნაციონალური მოძრაობიდან“ შევკრებდი. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციური ძალები ამ ეტაპზე ძალიან დასუსტებულები არიან. სუსტ ოპოზიციას უფრო იაფად იყიდი, მაგრამ კვალიფიციური კადრები მაინც „ნაციონალების“ გუნდშია თავმოყრილი.

ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

ნინია კაკაბაძის ბლოგი
რამდენი გაჩერებაა „ევროპამდე“?
საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაბრუნება, რომელიც ცალსახად ეკონომიკური კრიზისით არის გამოწვეული და არავითარი ეგზოტიკურობის ძიებით, ჩემთვის არა ბავშვობაში დაბრუნებაა, არამედ გზა ევროპისკენ. დასავლეთში ყოფნისას, ხომ ნებისმიერ ტრანსპორტს ვიყენებთ გადაადგილებისას და ეს ტაქსით მგზავრობაზე გაცილებით უფრო საინტერესოა, რომ არაფერი ვთქვათ ხელმისაწვდომობაზე.

ნინო ნატროშვილის ბლოგი
„ეფლომანეები“ საქართველოში
მაკის მომხმარებელთა ჯგუფი საქართველოში 2009 წლის პირველ აპრილს დაარსდა. თარიღიც სიმბოლური შეირჩა: პირველი აპრილი თავად Apple-ის შექმნის დღეა.

მულტიმედია
არასამთავრობოების აქცია

გექა ქურხულის საავტორო სვეტი
ნუ იტყვით ცუდ სიტყვებს
შთამომავლობა არ გვაპატიებს აქვე არ შევეხოთ ორ სიტყვა-შედევრს, აღმოჩენას, რომელიც სულ ახლახან გამოჩნდა ჩვენს მეტყველებაში და „ანუსთან“ ერთად დიდი სამეული შეადგინა. „ანუ“, „გაჟღერება“ და „წარმატებული“. „ანუ“ ხო „ანუა“ და მორჩა! მართლა აღმოჩენა, მაგრამ ახლა „გაჟღერება“ როგორია. „მე უკვე გავაჟღერე ჩემი აზრი“... „აქ რამდენჯერმე გაჟღერდა“... შარმანტ! შარმანტ!... მაგარია!

სიმბოლური ვიზიტი

საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტამდე გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლება ნიკოლა სარკოზისგან გაცილებით მეტს ელოდა.

მალხაზ ჭკადუა

ფოტოები სებასტიან ანნი

ნიკოლა სარკოზი თბილისში, 7 ოქტომბერი 2011

მარჯვენა ხელში საქართველოს ხუთჯვრიანი, მარცხენაში კი – საფრანგეთის სამფეროვანი დროშით დაბა ჯვარიდან ჩამოსული შუახნის მასწავლებელი თავისუფლების მოედნისკენ მიემართება. ჩქარობს, თითქოს სურს, ყველაზე ადრე დადგეს საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ვიზიტისათვის საგანგებოდ დამონტაჟებულ ტრიბუნასთან.

ზაურ მებონია 7 ოქტომბერს თბილისში მარტო არ ჩამოსულა – ჯვარიდან რამდენიმე ათეული ადამიანი ერთად და ორგანიზებულად ესტუმრა დედაქალაქს, რომელიც „ისტორიული ვიზიტისთვის“ ემზადებოდა.

თბილისელი პედაგოგები ღიად ამბობენ, რომ სკოლაში საგანგებოდ გააფრთხილეს, რომ თავისუფლების მოედანზე 4 საათზე ყოფილიყვნენ. ოპერის წინ შეკრებილები ჟურნალისტებთან საუბარს მხოლოდ იმ პირობით თანხმდებიან, თუ მათ ვინაობას არ გავამხელთ.

„ჩვენზე კარგად იცით, რა შეიძლება ამან გამოიწვიოს...“, – ამბობს ერთ-ერთი და ღიმილით ცდილობს საუბარს თავი აარიდოს.

რუსთაველის პროსპექტზე ყვითელი ავტობუსებით რეგიონებიდან ჩამოყვანილი ხალხის ნაკადი არ ილევა: ერთი დღით ქვეყნის მთავარი გამზირი მასშტაბური ავტოშოუს ადგილად იქცა – ათეულობით მძღოლი მოხერხებულად

მანევრირებს, „თბილისი მარიოტთან“ მანქანას საპირისპირო მიმართულებით აბრუნებს და დროებითი ავტოსადგომისკენ იღებს გეზს – „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე ყვითელი ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების გაჩერების ადგილია.

„სამტრედიიდან მოვდივართ 30-მდე მასწავლებელი, გვინდოდა ამ დღესასწაულს დავსწრებოდით“, – მორიგი ჯგუფი სასტუმრო „რედისონ ბლუ ევერიასთან“ იყრის თავს. ისინი კატეგორიულად უარყოფენ, რომ თბილისში ჩამოსვლა სკოლაში დაავალეს, ტრანსპორტი კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოყო. საზეიმოდ ჩაცმულები პასუხობენ, რომ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იმედი აქვთ.

ნიკოლა სარკოზის დასახვედრად ხელისუფლებამ საყოველთაო მობილიზაცია ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაცხადა:

„საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი კვლავ საქართველოშია. მას დიდი სურვილი აქვს, კიდევ ერთხელ დაუდასტუროს საქართველოს თავისი მხარდაჭერა. იმისთვის, რომ ჩვენი ერის ხმა ვერავინ ჩაკლას და ხმამაღლა ისმოდეს მსოფლიოში, 7 ოქტომბერს, 17:30-ზე, თავისუფლების მოედანი კვლავ მოექცევა მსოფლიო მედიის ყურადღების ქვეშ“, – ასეთი ტექსტით მიმართავდნენ საქართველოს მოქალაქეებს ნაციონალური ტელემაუწყებლები.

რეგიონებში საგანგებო მზადება გამოცხადდა. ზუგდიდის საკრებულოში მოქალაქეების ჩამოსაყვანად ტრანსპორტის გამოყოფის ბრძანებას ხელი 6 ოქტომბერს მოეწერა.

„ყველა კუთხიდან მიჰყავთ ხალხი და ჩვენ გამონაკლისები ხომ არ ვიქნებით?“ – კითხვას კითხვითვე უპასუხა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ სხულუხიამ. მან იქვე განმარტა, რომ ტრანსპორტის გამოყოფის თხოვნით თვითმმართველობის ორგანოს თავად ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა მიმართეს.

„ყველას უნდა თბილისობაზე წასვლა და პრეზიდენტ სარკოზის ნახვა, ჩვენც უარი ვერ ვუთხარით“, – თქვა საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“.

სამეგრელოს არც მცხეთა-მთიანეთი ჩამორჩა. თბილისში ხალხის გამგზავრებას კოორდინაციას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლაშა ჯანაშვილი უწევდა. მიკროავტობუსებით და პირადი მანქანებით დუშეთიდან დედაქალაქში 600-მდე ადამიანი ჩამოვიდა.

კახეთიდან ჩამოსულები კი ორბელიანის (ყოფილი კოლმეურნეობის) მოედანზე შეიკრიბნენ. უმეტესობა მათგანი გამგეობებისა და საკრებულოს თანამშრომლები, სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგები იყვნენ.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარტიული აქტივისტების შეკრება თბილისშიც გამოაცხადა. მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონების გამგებლები „თავიანთი ხალხის“ მობილიზება-შეკრებით იყვნენ დაკავებულები.

„გლდანი, გლდანი აქეთ“, „ვარკეთილი, ერთად ვიყოთ“, „ნახალოვკა, არ დაიშალოთ“, – ისმოდა შეძახილები.

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც „ხალხისთვის მიმართულების მიცემა“ ჰქონდათ დავალებული: კისერზე ჩამოკიდებული სპეციალური ბარათებით, წარწერით Access Denied საგანგებოდ ამობეჭდილ სიებში იხედებოდნენ.

„პარტიის წარმომადგენელი ვარ“, – თქვა ერთ-ერთმა „ლიბერალთან“ საუბრისას.

მოქალაქეთა მობილიზაციისა და შემოწმების შემდეგ თავისუფლების მოედანზე მათი შეშვების პარალელურად ნაციონალური ტელემაუწყებლები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ნიკოლა სარკოზის თვითმფრინავის ჩამოფრენისა და საგანგებო დახვედრის ამბებს.

თავისუფლების მოედანზე ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი, 7 ოქტომბერი 2011

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარტიული აქტივისტების შეკრება თბილისშიც გამოაცხადა. „გლდანი, გლდანი აქეთ“, „ვარკეთილი, ერთად ვიყოთ“, „ნახალოვკა, არ დაიშალოთ“, – ისმოდა შეძახილები.

საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტამდე გაკეთებული განცხადებებიდან თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლება ნიკოლა სარკოზისგან გაცილებით მეტს ელოდა: ახალი და განსაკუთრებით აღსანიშნავი მინიშნება მას არ გაუკეთებია – სარკოზიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. არაერთხელ გაგონილ სიტყვებს აუდიტორიის ოვაცია და შეძახილები მოჰყვა.

სარკოზიმ გაიხსენა საქართველოში მისი წინა ორი ვიზიტი, 2008 წლის 12 აგვისტოს და 8 სექტემბრის შეთანხმებები: რუსეთის მისამართით მწვავე პოლიტიკურ განცხადებებს თავი აარიდა, პირიქით, საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი საფრანგეთის სტრატეგიულ პარტნიორად და მეგობრად მოიხსენია.

„თქვენი ტერიტორიის ერთი ნაწილი წაგართვეს. ეს ისეთივე მწვავე ტკივილია, როგორც მოკვეთილი კიდური, რომლის არსებობას მაინც გრძნობ. ყოველგვარი სტრატეგიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ და ნაკისრი ვალდებულებების უგულებელყოფით მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები არათუ დარჩა, არამედ გაძლიერდა თქვენს კართან, გამყოფი კარის გადაღმა“, – თქვა სარკოზიმ, თუმცა ამ კონტექსტში რუსეთი კი არ მოიხსენია, არამედ იგულისხმა.

გაცილებით მეტი ადგილი საფრანგეთის პირველმა პირმა იმის ხაზგასმას დაუთმო, თუ რა აერთიანებთ დაპირისპირებულ მხარეებს: საბჭოთა მმართველობის 70-წლიანი ტრავმა, ასიათასობით ქართველი რუსეთში, რუსული კაპიტალი საქართველოში – მისი აზრით, სწორედ ეს ფაქტორები უნდა გახდეს საფუძველი დაპირისპირების რიტორიკის შესაწყვეტად და დიალოგის დასაწყებად.

სარკოზის რამდენიმეწუთიან გამოსვლიდან ერთი რამ ცხადი გახდა: საქართველოს ხელისუფლებას საფრანგეთის მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეს.

„ყველამ უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ საქართველოს, როგორც ნებისიერ სხვა ქვეყანას, უფლება აქვს, განსაზღვროს თავისი გზა და თავისუფლად აირჩიოს თავისი მეგობრები და მოკავშირეები. საქართველომ თავისუფლად უნდა გამოხატოს საკუთარი მისწრაფება, შევიდეს ნატოში, თუ მის ხალხს ასე სურს“, – თქვა სარკოზიმ, თუმცა იქვე განმარტა, რომ უკვე მიღწეული წარმატებები უნდა გაგრძელდეს, რომ შიდა რეფორმებისა და გახსნილობის სტრატეგია საქართველოსთვის საუკეთესო შანსია.

ამასთან, მოითხოვა, რომ ევროპელ დამკვირვებლებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, რათა ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი ჩაატარონ; იძულებით გადაადგილებული პირები სახლებში უნდა დაბრუნდნენ და ჟენევის მოლაპარაკებებში ყველა მხარე „უფრო აქტიურად და გულწრფელად“ ჩაერთოს.

„საფრანგეთი სამუდამოდ თქვენი ერთგული მეგობარია, რომლის იმედიც საქართველოს მუდამ შეიძლება ჰქონდეს. გაუმარჯოს საქართველოსა და საფრანგეთს შორის მეგობრობას, გაუმარჯოს ამ ორ გმირ ხალხს“, – ალბათ სარკოზის ეს სიტყვები გახდა საფუძველი, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მისი ვიზიტის შეჯამებისას ეთქვა – „საფრანგეთმა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხში საქართველო იშვილა“. თუმცა, ევროპასთან ინტეგრაციაზე საფრანგეთის პრეზიდენტს კონკრეტული არაფერი შემოუთავაზებია.

საქართველოში სარკოზის ვიზიტს აქტიურად გამოეხმაურა ფრანგული მედია. გამოცემა L'express პრეზიდენტის თბილისში ვიზიტს კავკასიაში საფრანგეთის ახალი სტრატეგიის კონტექსტში განიხილავს. მიმომხილველი აქსელ ჟულდანი აღნიშნავს, რომ საფრანგეთს, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს, ასევე საქართველოსა და რუსეთს შორის შუამავლის როლის შესრულება უწევს.

Etrostrategies-ის ხელმძღვანელი, პიერ ტერზიანი კი წერს, რომ ნიკოლა სარკოზისთვის ყოველმხრივ მომგებიანია სამშვიდობო რიტორიკა: ნახევარი წლის შემდეგ საფრანგეთში არჩევნებია – საერთაშორისო არენაზე მიღწეული წარმატებები ელექტორატზე კარგად იმოქმედებს.

მართლაც, სარკოზის სამშვიდობო და გეოსტრატეგიულ მიზნებში იმიერკავკასიაც მოიაზრება. მაისში დიმიტრი მედვედევთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას, ჩრდილოეთ კავკასიის ტურისტული ინფრასტრუქტურის განსავითარებლად თანამშრომლობის შესახებ. პროექტი, რომელიც წინასწარი გათვლებით 15 მილიარდი ეღირება, ხუთი სამთო-სათხილამურო კურორტის, კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე დასასვენებელი ცენტრების მშენებლობას ითვალისწინებს.

იმავდროულად, „ნიკოლა სარკოზი თავს დაესხა „ევრაზიის კავშირის“ პროექტს, რომელიც ამ კვირაში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა წარმოადგინა. საქართველო-რუსეთის შერიგება მოითხოვს იმის „აღიარებას, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს“, – განაცხადა პრეზიდენტმა პირდაპირ... აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაახასიათა, როგორც „იზოლირებული ფსევდო სახელმწიფოები და ვასალები“, – წერს La-Croix.com.

განსხვავებული შეფასებების მიუხედავად, ერთი რამ ცხადი გახდა: საფრანგეთის პრეზიდენტის კავკასიური ტურნე 2012 წლის აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებით არის ნაკარნახევი. საქართველოც, თავის მხრივ, ამ ვიზიტით მსოფლიოს თავს ახსენებს. საზეიმოდ ჩაცმული სამტრედიელების ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იმედი კი იმედად რჩება.

ამავე თემაზე ვებზე

სახელისუფლებო მობილიზაცია სარკოზის დასახვედრად

www.liberali.ge

ფოტო: REUTERS

გერმანიის კანცლერის შეხვედრა ბელარუსის ოპოზიციის წარმომადგენლებთან, ევროკავშირის სამიტი ვარშავაში, 30 სექტემბერი 2011

აღმოსავლეთ პარტნიორობა

ვარშავის სამიტი - ოხდლიანი დიპლომატიური ჭიდილი

29-30 სექტემბერს პოლონეთის დედაქალაქში აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მეორე სამიტი გაიმართა. მასში, ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის გარდა, 6 პარტნიორი ქვეყანაც მონაწილეობდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტი შვედეთის ინოციატივით განხორციელდა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და საზოგადოებაში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას ისახავს მიზნად. ამან კი ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები კიდევ უფრო უნდა დაახლოვოს, საბოლოო ჯამში კი მათ ინტეგრაციას შეუწყოს ხელი.

ვასო კუჭუხიძე

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, ვარშავის სამიტზე უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ეს საკითხი კიდევ ერთხელ გახადა აქტუალური და აღნიშნა, რომ თანამშრომლობის საბოლოო მიზანი ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებაა. „მართალია, ევროკავშირს ამჟამად ნამდვილად არ უდგას კარგი პერიოდი და ევროზონაში მიმდინარე მოვლენები ამის ნათელი მაგალითია, მაგრამ ამ დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, გაერთიანებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს ახალი წევრების დამატებაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ახალი ინიციატივებით შემოვლენ, ბაზარს გააფართოებენ და იმ ეკონომიკურ სტაგნაციას დაძრავენ, რომელიც ევროკავშირის შიგნით არსებობს“, – განაცხადა უნგრეთის პრემიერმა.

სამიტზე მინსკის უსუსური მდგომარეობის მიუხედავად, ევროპულმა ქვეყნებმა ბელარუსთან დაკავშირებული დეკლარაციის მიღება ვერ შეძლეს, რადგანაც ხუთმა პარტნიორმა ქვეყანამ მას მხარი არ დაუჭირა. მოგვიანებით, ლუკაშენკომ მადლობა გადაუხადა ხუთივე ქვეყნის ლიდერს, განსაკუთრებით კი ილჰამ ალიევსა და მიხეილ სააკაშვილს.

მომავალი გაფართოების პროცესზე შედარებით მოკრძალებულად ისაუბრა ევროკავშირის კომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, შტეფან ფიულემ. მართალია, მისი გამოსვლა პარტნიორი ქვეყნებისთვის არ იყო უნგრეთის პრემიერ-მინისტრის მსგავსად იმედისმომცემი, თუმცა მანაც თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი.

სამიტზე ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო პარტნიორი ქვეყნების მიმართ არსებული სავიზო პოლიტიკის გადახედვა. მართალია, ბრიუსელსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის სავიზო რეჟიმები მნიშვნელოვნად გამარტივდა და რეადმისიის ხელშეკრულებებიც გაფორმდა. საბოლოო მიზანი ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის ამოქმედებაა, რაც ბრიუსელმა წარმატებით განახორციელა რამდენიმე ბალკანურ ქვეყანაში.

მიუხედავად ევროკავშირის ეკონომიკური კრიზისისა, სამიტზე ასევე დიდი ყურადღება დაეთმო პარტნიორი ქვეყნებისთვის დასახმარებლად დამატებითი ფინანსების გამოყოფას. ევროკომისიის თავმჯდომარის, მანუელ ბაროზუს განცხადებით, აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის გამოყოფილმა ფინანსებმა უკვე 2 მილიარდ ევროს მიაღწია და ბრიუსელი ამ ციფრზე შეჩერებას არ აპირებს. გარდა ამისა, გადაწყდა რომ 2011 წლის ბოლოს უკრაინასთან გაფორმდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. ამავე საკითხთან დაკავშირებით კი საქართველოსა და მოლდოვასთან ახლო მომავალაში დაიწყება მოლაპარაკებები.

სამიტის დღის წესრიგი ევროპული მედიის განსაკუთრებულ დაინტერესებას არ იწვევდა, რომ არა ბელარუსის დელეგაციის დემარში. წამყვანი გამოცემების მიერ დიპლომატიური სკანდალის პირველ გვერდზე გამოტანამ თემას სიმძაფრე შესძინა, რასაც, თავის მხრივ, ბელარუსის ხელისუფლების მხრიდან თავის „მსხვერპლად“ წარმოჩენამაც შეუწყო ხელი.

სინამდვილეში კი, ვარშავაში მომხდარი ფაქტი სხვა არაფერი იყო, თუ არა მინსკის მიერ გათამაშებული პროვოკაცია. საქმე ისაა, რომ 2011 წლის ზაფხულში ბრიუსელმა ბელარუსის პრეზიდენტსა და რამდენიმე მაღალჩინოსანს, 2010 წლის არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნებისა და ოპოზიციის დაწიოკების გამო, ევროკავშირში ჩასვლის უფლება ჩამოართვა. შესაბამისად, ლუკაშენკო ვარშავაში არ მიიწვიეს. პროტესტის ნიშნად, ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი მარტინოვმა სამიტში მონაწილეობაზე თავად განაცხადა უარი და დელეგაციის ხელმძღვანელობა მიანდო ბელარუსის ელჩს პოლონეთში.

სამიტის მონაწილე ქვეყნების დელეგაციები ძირითადად ხელისუფლების მაღალჩინოსნებით იყო დაკომპლექტებული და ქვეყნის პირველმა პირებმა მნიშვნელოვან შეხვედრებზე ბელარუსის ელჩის დაშვება, მისი დაბალი რანგის გამო, არ ისურვეს. გარდა ამისა, დიპლომატიური პროტოკოლის გათვალისწინებით, ოფიციალურ ვახშამზე ბელარუსის ელჩი არ მიიწვიეს, რამაც ბელარუსის დელეგაციის აღშფოთება გამოიწვია და მათ სამიტი დატოვეს. ოფიციალურ განცხადებაში ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ „ეს იყო ქვეყნის დისკრედიტაციის მცდელობა, რასაც ჩვენმა დელეგაციამ რადიკალური ზომებით უპასუხა“.

ეს მინსკის ვერსიაა. სინამდვილეში კი მათი გაღიზიანების მიზეზი სხვა რამ იყო. როგორც ცნობილია, ბელარუსის ოპოზიციის წარმომადგენლობა ვარშავაშია და მას თავს ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ის ლიდერები აფარებენ, რომლებიც ლუკაშენკოს დევნას გამოექცნენ. სამიტის ფარგლებში კი მათ რამდენიმე ევროპელი ლიდერი, მათ შორის გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც შეხვდა და საკმაოდ სერიოზული მოლაპარაკებებიც გამართა. სწორედ ამან გამოიწვია მინსკში ისტერია.

ანალიტიკოსთა განცხადებით, ბელარუსს არ აქვს დასავლეთთან ულტიმატუმების ენით საუბრის და

სკანდალების მოწყობის ფუფუნება, რადგან ქვეყანა არნახულ ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება და მისი დეფოლტისაგან ხსნა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 9-მილიარდიან სესხს შეუძლია. დახმარების სანაცვლოდ, დასავლეთი მინსკს დემოკრატიულ რეფორმებს სთხოვს. ლუკაშენკო გამოუვალ მდგომარეობაშია, გრანტის აღება მას პოლიტიკურ ფიასკოს უქადის, არაღება კი – ეკონომიკური კრახს. ამიტომაც, რეჟიმი ისტერიაში იმყოფება, რაც უკვე საგარეო პოლიტიკასაც დაეტყო. რთული სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მინსკში, თუმცა ფაქტია, რომ ბელარუსი ევროპას საბოლოოდ ვერ ჰკრავს ხელს. სწორედ ამიტომაც, სკანდალიდან რამდენიმე დღეში, საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ დელეგაციამ მხოლოდ ერთი კონკრეტული სამიტი დატოვა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტიდან გამოსვლა ქვეყნის ინტერესებში არ შედის.

სამიტზე მინსკის უსუსური მდგომარეობის მიუხედავად, ევროპულმა ქვეყნებმა ბელარუსთან დაკავშირებული დეკლარაციის მიღება ვერ შეძლეს, რადგანაც ხუთმა პარტნიორმა ქვეყანამ მას მხარი არ დაუჭირა. მოგვიანებით, ლუკაშენკომ მადლობა გადაუხადა ხუთივე ქვეყნის ლიდერს, განსაკუთრებით კი ილჰამ ალიევსა და მიხეილ სააკაშვილს. ბელარუსის პრეზიდენტის განცხადებით, „სწორედ მათი აქტიურობითა და ძალისხმევით მოხდა ხუთი ქვეყნის კონსოლიდაცია და ბელარუსის ინტერესების დაცვა ევროპაში“.

ევროპელმა ლიდერებმა ვარშავის სამიტი პოზიტიურად შეაფასეს, რასაც მწვავე რეაქცია მოჰყვა ევროპულ მედიაში. განსაკუთრებული კრიტიკა პოლონურმა პრესამ საგარეო საქმეთა მინისტრ დონალდ ტუსკს დაატეხა თავს. კრიტიკის მიზეზი ის იყო, რომ პოლონურმა დიპლომატიამ ფიასკო განიცადა და ხელიდან გაუშვა შანსი, ბელარუსთან დაკავშირებით ევროპულ ქვეყნებს სათავეში ჩადგომოდა. ეს პოლონეთის პრესტიჟს გაზრდიდა ევროკავშირში და გავლენის გაფართოების საშუალებას მისცემდა ბელარუსში.

ბელარუსის საკითხთან დაკავშირებით კრიტიკა არც ბრიუსელს ასცდა. გარდა ამისა, უკრაინასთან მოლაპარაკების პროცესში ტიმოშენკოს საკითხის მიმართ ევროპელი ლიდერების მიერ გამოჩენილმა არასათანადო ყურადღებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბრიუსელს არ გააჩნია კონკრეტული გეგმები მეზობლად არსებული ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გამახჯობა, მე ვახ მანანა თოქმაჯიშვიღი, გადაცემის "ხაზზეა მოქაღაქე" ავტოხი და ნამყვანი. გადაცემის მთავახ სიახღეს ნახმოადგენს მისივე ფოხმატი: მოქაღაქის სახეღით ვხეკავთ ცხეღ ხაზებსა თუ საჯახოდ გამოცხადებეღ ნომხებზე და ვცდიღობთ გავახჯვიოთ საზოგადოებისთვის აქტეაღეახი თემები-ჯანდაცვითი, სოციაღეახი, იუხიდიეღი საკითხები... საკეღეფონო ზახი ნინასნახ მეთანხმებეღი ახ ახის და შესაბამისად ახ ვიცით, თუ ხოგოხ შეხვდებიან ჩვენს ზახს. გადაცემა მზადდება პიხდაპიხ ეთეხში და იგი მთლიანად ახის დამოკიდებეღი ცხეღი ხაზებიდან მიღებეღ ინფოხმაციაზე, ოპეხატოხთა კეთილგანწყობაზე და მათ მზაობაზე- დაეხმახონ მოქაღაქეს პხობლემის გადაჭხაში.

ჩვენი მიზანია, ეთეხ მხხივ საჭიხო ინფოხმაციის მოძიება და მისი ხელმისაწვდომობა, მეოხე მხხივ კი მოქაღაქეებთან ეთეხეთხობის კულტუხის პხოპაგანდა, ხაზგასმა იმაზე, ხომ ცხეღი ხაზების ეთადეთხი დანიშნეღება მოქაღაქეთა ზახებზე ხეაგიხებაა.

გადაცემის მთავახი დევიზია:

მოუსმინეთ, ხოდესაც ხაზზეა მოქაღაქე!

გადაცემა "ხაზზეა მოქაღაქე" გათვლილია მსმენელთა ფახთო სპექტხზე. ნებისმიეხს, ვინც თავს მოქაღაქედ მიიჩნევს, ვინც სვამს კითხვას და ითხოვს პასუხს, ჩვენი გადაცემის აქტიეს მსმენელად მოვიაზხებთ. უსმინეთ ხადიო კომეხსანტს FM 95.5 სიხშიხეზე! ყოველდღე, შაბათ-კვიხის გახდა, 11 სთ-სა და 25 წუთზე ეთეხშია "ხაზზეა მოქაღაქე".

Radio Commersant

წითელი ნუსხა საფრთხეშია

ახალი კანონპროექტი წითელი ნუსხის ცხოველების გადაშენების საფრთხეს ქმნის. თუმცა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს სჯერა, რომ ამ ცვლილებით მონადირე ტურისტებს მოიზიდავს.

ცირა გვასალია



ახალი კანონპროექტით, წითელი ნუსხის სახეობებზე ნადირობა დაცულ ტერიტორიებზე ნებადართული გახდება.

პავლე კუბლაშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტი პარლამენტში სექტემბრის დასაწყისში შევიდა. ამ ეტაპზე დოკუმენტს კომიტეტებში განიხილავენ, რის შემდეგაც ცვლილებები საპარლამენტო მოსმენებით უნდა დამტკიცდეს.

კანონპროექტის მიზანი მონადირე ტურისტების მოზიდვაა. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური კი ამტკიცებს, რომ კანონპროექტი სპეციალური კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდა და მასზე პროფესიონალი ბიოლოგები მუშაობდნენ, თუმცა ამ კვლევის გასაჯაროებაზე მინისტრი უარს ამბობს.

საქართველოში უკანონო ნადირობის, ანუ ბრაკონიერობის გამო ჯეირანი და ლეოპარდი უკვე გადაშენდა. დათვი, ირემი, ჯიხვი, ნიამორი, ფოცხვერი და სხვა სახეობები კი ისედაც მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ახალი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ამ სახეობებზე ნადირობა ოფიციალურად დაკანონდება.

„ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, რომ კვლევის შედეგები საზოგადოებას არ გავაცნოთ," – ამბობს ხეთაგური და არც პროცესში ჩართული ბიოლოგების ვინაობას ასახელებს.

პროცესს მიღმა დარჩენილი სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გაუაზრებელია და წითელი ნუსხის ცხოველთა მდგომარეობას გააუარესებს. თუკი კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევა, ზოგი სახეობა გადაშენების საფრთხის წინაშე დადგება.

საქართველოში უკანონო ნადირობის, ანუ ბრაკონიერობის გამო ჯეირანი და ლეოპარდი უკვე გადაშენდა. დათვი, ირემი, ჯიხვი, ნიამორი, ფოცხვერი და სხვა სახეობები კი ისედაც მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ახალი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ამ სახეობებზე ნადირობა ოფიციალურად დაკანონდება.

ალექსანდრე ხეთაგური, „ლიბერალთან" საუბარში კანონპროექტის საჭიროებას ასე აღწერს:

„რა საჭიროა სირაქლემის პოზაში ყოფნა? ამ სახეობებზე მაინც ნადირობენ და რაღა ჩვენ გამოვდივართ ყველაზე გულანთებული გარემოსდამცველები? გაიხედეთ უკრაინაში, ავსტრიაში, თურქეთში, თუ იქ დადიან მონადირე ტურისტები, ჩვენთან რატომ არ შეიძლება მოვიწვიოთ?!"

კავკასია დედამიწაზე გამოყოფილი ბიოლოგიური მრავალფეროვნების 34 ე.წ. „ცხელ წერტილს" შორის ერთ-ერთია. საქართველო არის 200 გლობალურ ეკორეგიონს შორისაც, რომელიც გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის განვითარებით, მცენარეების მრავალფერნოვნებით, ენდემიზმის დონით: საქართველოში მცენარეთა 300 ისეთი სახეობა ხარობს, მსოფლიოს სხვა კუთხეში რომ ვერ შეხვდებით. საქართველოში გავრცელებული 109 სახეობის ძუძუმწოვართა შორის კი ნაწილი კავკასიური ენდემური სახეობაა და მსოფლიოში სხვაგან ვერსად ნახავთ.

ჯიხვიც სწორედ კავკასიის ენდემია – საქართველოში გავრცელებული ჯიხვის ორი სახეობა მხოლოდ საქართველოში გვხვდება. უკანონო ნადირობამ ეს სახეობა კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა: ჯიხვი შედის როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო წითელ ნუსხაში. მონადირეებისთვის მომხიბვლელი ამ ცხოველის რაოდენობა საქართველოში სწრაფი ტემპით იკლებს: თუ 2006 წელს ყაზბეგში დაახლოებით 3000 ჯიხვი ბინადრობდა, 2010 წელს მხოლოდ 600 ცალი დაითვალეს ბიოლოგებმა.

ჯიხვზე, ირემზე, დათვზე და სხვა ცხოველებზე სპორტული ნადირობა, შიდა და საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესს წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის სახეობათა პოპულაციებს. ირმის და ჯიხვის რქა კი – სასურველ და სანაქებო მონაპოვარს წარმოადგენს მონადირეებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობით, მათზე ნადირობა სისხლის სამართლის დანაშაულია. მიუხედავად ამისა, ბრაკონიერების გამოვლენის და დასჯის სტატისტიკა საქართველოში ძალიან დაბალია. 2009 წელს მურა დათვის მოკვლისთვის და გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის 2 ადამიანს, ცალ–ცალკე, 50 ათასი ლარი ჯარიმა გადაახდევინეს, 2011 წელს კი ბრაკონიერებს 260 ათასი ლარის გადახდა მოუწიათ ოთხი ჯიხვის მოკვლისთვის.

სახეობების – ცხოველებისა თუ მცენარეების – გადაშენებისგან დასაცავად

სახეობათა ჯიების ტენდენცია მსოფლიოში

მეცნიერების დაკვირვებით, სახეობების გადაშენების სიჩქარე მთელ მსოფლიოში 100–დან 1000–მდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც ადამიანმა ბუნებრივი რესურსების გამოყენება დაიწყო.

„მანამდე კონკრეტული სახეობა და სახეობის შთამომავლობა საშუალოდ მილიონ წელს მაინც ნარჩუნდებოდა. შემდეგ, ბუნებრივი ევოლუციის შედეგად, ყოველ მილიონ წელიწადში ერთხელ ეს სახეობა ბუნებრივი ევოლუციით ქრებოდა და მას მეორე ანაცვლებდა. თუმცა, უხეშად რომ ვთქვათ, წონასწორობა დაცული იყო. მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. გადაშენების სიჩქარემ არა მხოლოდ მოიმატა, იკლო დაბადების ტენდენციამაც, ბალანსი დაირღვა“, – ამბობს თავის სტატიაში ედუარდ უილსონი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი.

ანთროპოგენული, ანუ ადამიანის ხელის ჩარევა ბუნებაში სახეობების გადაშენების ერთ–ერთი მიზეზია. ამიტომ, დედამიწის ისეთ წერტილებშიც კი, რომლებიც ყველაზე მდიდარი ფლორითა და ფაუნით გამოირჩევიან, სახეობების კლების ტენდენცია მაღალია. კუნძული მადაგასკარი მსოფლიოში ერთ-ერთი მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით გამოირჩევა. კუნძულის ბიომრავალფეროვნების 80 პროცენტი ენდემურია, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ მცხოვრებ სახეობებს მხოლოდ მადაგასკარზე თუ ნახავთ. თუმცა, ეკოსისტემის დიდი ნაწილი განადგურებულია: ტყეები მოჭრილია ან ხანძრითაა გადამწვარი. განადგურების პროცესი მადაგასკარზე 1500 წლის წინ დაიწყო, რაც იქ ადამიანები დასახლდნენ. უკონტროლო ნადირობამ, რასაც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაემატა, ეკოსისტემა დააზიანა.

წითელი ნუსხა იქმნება. როცა სახეობების რაოდენობა იკლებს, წითელი ნუსხა სწორედ მაშინ დგება. ნუსხაში შემავალ სახეობებს ბიოლოგები „ცოცხალ–მკვდართა“ სიასაც უწოდებენ. წითელი ნუსხის შექმნის მიზანი ერთია: ქვეყანამ სახეობებზე ისე უნდა იზრუნოს, რომ მათი რიცხვი გაიზარდოს და საბოლოოდ, წითელი ნუსხიდან ამოიღოს.

ყველა ქვეყანას თავისი წითელი ნუსხა აქვს. ნუსხაში შემავალ სახეობაზე კი ველურ ბუნებაში ნადირობა აკრძალულია, იშვიათი გამონაკლისის გარდა. გამონაკლისის დაშვება მხოლოდ სახეობის და საბინადრო გარემოს კვლევის შედეგად ხდება, ისიც გარკვეულ ტერიტორიაზე და დეტალურად დამუშავებული რეგულაციების გათვალისწინებით. მაგალითად, რომელ სეზონზე, რომელი სქესის, რა ასაკის ინდივიდი შეიძლება მოიკლას.

სახეობათა ნუსხა პირველად საბჭოთა „წითელ წიგნში“ ჩაიწერა. თუმცა, ცხოველთა დათვლის მეთოდები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

მეორედ 2005 წელს იყო ცხოველების დათვლის მცდელობა საქართველოში. წითელი ნუსხის კომისიის 8–კაციანი ჯგუფი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, ცდილობდა საქართველოს ბიომრავალფეროვნების ციფრებში ასახვას. კომისიის თავმჯდომარე და ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, დავით თარხნიშვილი ამბობს, რომ ეს ციფრები მას შემდეგ არ გადამოწმებულა.

„გადამოწმება სასურველია, 5 წელში ერთხელ მაინც ხდებოდეს, ახალი ინფორმაცია უნდა შემოდიოდეს“, – აღნიშნავს თარხნიშვილი.

თუმცა, ქვეყანას ასეთი ძვირი ფუფუნების საშუალება არ აღმოაჩნდა. ამჟამად კი წითელი ნუსხის კომისია არ არსებობს და არც არავინ იცის, რეალურად მოემატა თუ დააკლდა 6 წლის წინ შედგენილ სახეობათა სიას. მინისტრი ხეთაგური ამტკიცებს, რომ დათვლა ისევ განხორციელდა, თუმცა არც ამ მონაცემებს ასაჯაროებს.

„ამ ყველაფრის გარეშე, სახეობების

გადაშენებას მივიღებთ შედეგად“, – ამბობს ნათია კოპალიანი, ბიოლოგი, ილიას უნივერსტეტის პროფესორი. – „არ შეიძლება რომელიმე სახეობაზე ნადირობის ისე დაშვება, თუ წინასწარ არ შეფასდა მისი პოპულაციის რიცხოვნობა, არ გამოვლინდა ტენდენცია – იკლებს თუ მატულობს და რა საფრთხეები მოქმედებს ამ სახეობებზე.“

ცხოველების დათვლა ძალიან ძვირადღირებული საქმიანობაა, დათვლის შედეგები კი – მიახლოებითი.

„დაითვალეთ ნემსები თივაში! სახელმწიფომ მილიონი ლარიც რომ ჩადოს ამ საქმეში, ზუსტი ციფრების დასახელება მაინც ძნელია. დათვლის მეთოდები არსებობს, მაგრამ დიდი ცდომილებით. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში კი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე დათვების ან მსგავსი ცხოველების მეტ–ნაკლები სიზუსტით აღრიცხვა უბრალოდ შეუძლებელია“, – აღნიშნავს თარხნიშვილი.

წითელ ნუსხაში შემავალი სახეობების დასაცავად იქმნება დაცული ტერიტორიები და ნაკრძალებიც: პირველი ქართული ნაკრძალი ლაგოდეხში, 1921 წელს სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ იქ არსებული სახეობები, მათ შორის, ირემი, დაცული ყოფილიყვნენ მონადირეებისგან. ამჟამად დაცული ტერიტორიების ფართობი ქვეყნის მთელი ფართობის დაახლოებით 7 პროცენტია, რაც მცირე მაჩვენებელია. იქ ნადირობის დაწესება კი ეწინააღმდეგება მათი შექმნის იდეას – სახეობათა დაცვასა და კონსერვაციას.

სპეციალისტები ეჭვქვეშ აყენებენ კანონპროექტის მიზანსაც – მონადირე ტურისტების მოზიდვას: ცხოველებზე კომერციულმა ნადირობამ შეიძლება ეკოტურისტების რაოდენობა შეამციროს.

2005 წლიდან დღემდე, ეკოტურისტების, ანუ ველური ბუნების მნახველთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. თუ 6 წლის წინ 5 ათასზე მეტი ადამიანი სტუმრობდა დაცულ ტერიტორიებს, ამ წლის მონაცემებით, მათი რიცხვი 250 ათასს აღემატება.

„საქართველოში ტურისტები ჩამოდიან არა მარტო ლანდშაფტის სანახავად, არამედ ცოცხალი ველური ბუნების დასათვალიერებლად. იგივე ყაზბეგში, მრავლად არიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულები, რომლებსაც ფრინველების იშვიათი სახეობების, ჯიხვების, არჩვის და სხვა ცხოველების ნახვა სურთ“, – ამბობს ნათია კოპალიანი. – „როდესაც შემცირდება ველური ცხოველების ნახვის ალბათობა, მრავალი ტურისტი უარს იტყვის ჩვენთან ჩამოსვლაზე“.

გიორგი დარჩიაშვილი ველური ბუნებით დაინტერესებული ფოტოგრაფია, პროფესიით – ეკოლოგი. გადაღება რუსული წარმოების „ზენიტით“ დაიწყო. იღებდა ყველაფერს, რასაც ბუნებაში გასვლისას აწყდებოდა: დათვს, ირემს, ჯიხვს, ლელიანის კატას. დღეს კი ველური ცხოველების ფირზე აღბეჭდვა სულ უფრო იშვიათი სიამოვნებაა: ბრაკონიერების იარაღის ხმაურით დაშინებული ცხოველები ადამიანისთვის ძნელად მისადგომ ჭიუხებში იმალებიან.

ირაკლი მაჭარაშვილი, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი, თვლის, რომ არ შეიძლება წითელ ნუსხაში შემავალ სახეობებს მხოლოდ ეკონომიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით შევხედოთ.

„ფული ნადირობით კი შემოვა, მაგრამ ფულის გამო არ შეიძლება ეროვნულ პარკებში ნადირობა დავუშვათ“, – ამბობს მაჭარაშვილი. – „წითელი ნუსხის" სახეობებზე და ეროვნულ პარკებში ნადირობის დაკანონება იგივეა, რომ გადაწყდეს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოქროს ფონდის გაყიდვა ლითონის ფასად, იმ საბაბით, რომ მუზეუმის ვიზიტორების მიერ გადახდილი თანხა ცოტაა მათი გაყიდვით მიღებულ შემოსავალთან შედარებით, ხოლო ექსპონატების შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდება“.

არც ნათია კოპალიანს მოსწონს ცხოველების სპორტული ხოცვა. თუმცა სამონადირეო მეურნეობების მოწყობა მისთვის ორ უარესს შორის უკეთესი გამოსავალია ცხოველების შესანარჩუნებლად.

სამონადირეო მეურნეობები

იშვიათი სახეობების დაცვის ინსტრუმენტად გარემოსდამცველები განიხილავენ სამონადირეო მეურნეობასაც, რომელიც ქვეყნისთვის ეკონომიკური შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს. თუმცა, ასეთ მეურნეობებში ნადირობა მკაცრად კონტროლდება.

თუ ევროპელი სამონადირეო მეურნეობის მფლობელი მოისურვებს, რომ საკუთარ მეურნეობაში საკუთარი ქვეყნის წითელი ნუსხის სახეობა მოაშენოს, სათანადო პროცედურები უნდა გაიაროს. მაგალითად, მოუნდა, რომ დათვი მოაშენოს და შემდეგ მონადირე ტურისტები მოიზიდოს. ჯერ უნდა დაითვალოს, რამდენი დათვია მის ქვეყანაში. შემდეგ აღწეროს, რა ადგილას, როგორ, რომელ სეზონში დაიჭერს, რომელ დამაძინებელს გამოიყენებს და ასე შემდეგ. თუ შეფასების შემდეგ აღმოაჩენს, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე არის, ვთქვათ, 300 დათვი, აქედან შეიძლება ოთხი დასჭირდეს. სახელმწიფო მას უფლებას აძლევს, 4 დათვი საკუთარ სამონადირეო მეურნეობაში წაიყვანოს, ნამატით კი უკვე თვითონ გადაწყვეტს, მისთვის რამდენის მოკვლა იქნება მიზანშეწონილი. შესაბამის რაოდენობას, ანუ კვოტას სახელმწიფოს ყოველ წელს სთავაზობს, რომელსაც სახელმწიფო დაუდასტურებს და შესაბამის მონიტორინგსაც გაუწევს.

„უცხოელ მონადირეებს ყოველთვის ურჩევნიათ სამონადირეო მეურნეობებში ნადირობა, სადაც მათთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი და ნადავლიც გარანტირებულია“, – ამბობს ნათია კოპალიანი. – „მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული სამონადირეო მეურნეობები. სწორად ორგანიზებულ მეურნეობებში ჩამოსვლის სურვილი კი ბევრს აქვს.“

ნამება თუ ძალაუფლების გადამეტება?

ბოლო წლებში გატარებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში კვლავ არის პატიმრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები. ასეთ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეები უმეტესწილად არა წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის, არამედ ძალაუფლების გადამეტების მუხლითაა აღძრული.

მაგდა მემანიშვილი, „სტუდია მონიტორი“

ქსნის ინციდენტი

2010 წლის 19 აგვისტოს დაბა ქსანში მდებარე საპყრობილიდან ხმაური გაისმა. როგორც მოგვიანებით ქსანში მყოფმა მსჯავრდადებულებმა წერილობით აღწერეს, იმ დღეს ციხეში სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები შევიდნენ და პატიმრებს სცემეს. მათი თქმით, განსაკუთრებულად სასტიკად გაუსწორდნენ იმ ტუსაღებს, ვისაც საკუთარი საქმე სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჰქონდა გასაჩივრებული.

ციხიდან გამოგზავნილ წერილში პატიმრები ლაშა გეთიაშვილი, ზურაბ ხაჩიძე და არჩილ სახვაძე მომხდარს ასე აღწერენ: „სპეცრაზმს ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება, რომლის ვინაობასაც ვერ ვიტყვით, რადგან თავები გვქონდა დახრილი და არ დაგვინახავს. ეს უკანასკნელი ამბობდა, „ამათ ჰგონიათ, სტრასბურგი უშველით ამ მოღალატეებს, ესენი დასახოცები არიან და დაბრიდეთო“. უშვერი სიტყვებით მოგვმართავდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ ვიყავით მოღალატეები და საცოცხლებლები არ ვიყავით. ამას თან ერთვოდა ჩვენი უმოწყალო ცემა, რასაც უფრო წამებას თუ დავარქმევთ. იყენებდნენ ხელკეტებს და ჩვენთვის გაურკვეველ საგნებს, რის შედეგადაც მივიღეთ მძიმე დაზიანებები; ხერხემლის, თირკმლის, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის, უამრავი დაბეჟილობა და სისხლჩაქცევები, თავზე კოპები და ზურგზე ჭრილობები. ამის შემდეგ გვყრიან საკანში და ერთ საათში კვლავ იგივე მეორდება. ადმინისტრაციამ, თავის დაზღვევის მიზნით, კარანტინი გამოაცხადა და გარესამყაროს მოგვწყვიტა. არ უშვებდნენ ადვოკატს, რომ ენახა პატიმრის მდგომარეობა, ხოლო 25 აგვისტოს მოგვცეს საშუალება, დაგვერეკა ოჯახებში და მაშინვე შევატყობინეთ ჩვენი მდგომარეობის შესახებ“.

მოგვიანებით, პატიმრებმა ადვოკატებს ცემის ორგანიზატორთა ვინაობაც გაუმხილეს. „ცემაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მოადგილე გიორგი კოხრეიძე და რეჟიმის უფროსი – ლევან ლეჟავა. ტექსტები, ძირითადად, ასეთი იყო – წადით და სტრასბურგმა და ევროპამ გიშველოთ ახლაო“, – ამბობს ლაშა გეთიაშვილის ადვოკატი, ნანა ფილაური.

ადვოკატმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკი-

თხთა მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის სახელზე შეიტანა განცხადება, რომელშიც 19 აგვისტოს ფაქტის გამოძიებასა და ნაცემი პატიმრებისათვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვდა. ხოლო პატიმრებმა მათი წამების ფაქტზე სისხლის სამართლის აღძვრის მოთხოვნით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

ნაცემი პატიმრები სამკურნალო დაწესებულებაში რამდენიმე კვირის დაგვიანებით გადაიყვანეს, მათ ექსპერტიზაც დაგვიანებით ჩაუტარდათ. 1 სექტემბერს, ანუ ინციდენტიდან თითქმის ორი კვირის თავზე ლაშა გეთიაშვილისთვის ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, პატიმარს მუცელში, ფერდქვეშ, მარჯვენა და მარცხენა ბეჭის ქვემოთ, ასევე ზურგის მარჯვენა ნახევარში, მარცხენა მხარში და მარჯვენა ბარძაყში აღენიშნებოდა ცემის კვალი. მას სტკიოდა თირკმლები. ექსპერტ-ტრავმატოლოგმა დიაგნოზში მიუთითა, რომ გეთიაშვილს აღენიშნებოდა მრავლობითი დაჟეჟილობა, რეკომენდაციებში მან ჩაწერა, რომ გეთიაშვილს სჭირდებოდა უროლოგის, აგრეთვე ნეიროქირურგის, ან ნევროპათოლოგის კონსულტაცია, გარდა ამისა, საჭირო იყო კომპლექსური სასამართლო სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

სექტემბერშივე სახალხო დამცველმა, გიორგი ტულუშმა წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას და ქსანში მომხდარი ფაქტის გამოძიება მოითხოვა. ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ „ხაჩიძესა და გეთიაშვილთან მისული იყო გამომძიებელი და პირი, რომელმაც ჩაუტარა გარეგანი დათვალიერება, სავარაუდოდ, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი. მსჯავრდადებული არჩილ სახვაძე აღნიშნავს, რომ იგი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ დაკითხულა და არ ჩატარებია სასამართლო ექსპერტიზა, აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი შიმშილობს და ითხოვს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას“.

არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, ადვოკატმა ნანა ფილაურმა ვერ გაარკვია, გამოძიება დაინტერესდა თუ არა ქსნის ინციდენტით. ეს ამბავი 2010 წლის ნოემბერში, არჩილ სახვაძის ადვოკატმა, ლია მუხაშავრიამ სტრასბურგში ყოფნისას გაარკვია. მან ნახა საქართველოს მთავრობის მიერ სასამართლოსთვის გაცემული პასუხი, რომ ქსნის ინციდენტთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, ოღონდ არა პატიმართა წამების, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით. მუხაშავრიას აზრით, აღნიშნული მუხლი არაადეკვატურია. „ამ შემთხვევაში, ძალაუფლების გადამეტების მუხლი უადგილოა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ გამოკვეთილი არის წამების მიზანი – ადამიანს ტრავმა მიაყენეს იმის გამო, რომ მას ევროსასამართლოში ჰქონდა გასაჩივრებული თავისი საქმე. და, რა თქმა უნდა ის, ვინც ეს განკარგულება გასცა, არ მოქმედებდა საკუთარი ნებით, ის ასრულებდა სხვის დავალებას. და მეორეც, ძალაუფლების გადამეტების დანაშაული გაცილებით უფრო მსუბუქი ხასიათის დარღვევას და ნაკლებად მძიმე შედეგს უნდა ქმნიდეს დაზარალებულისთვის“.

ადვოკატის თქმით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ლაშა გეთიაშვილს ფსიქოლოგიურად ამუშავებდნენ. „არ მისცეს პირადი ჰიგიენის ნივთები, არ მისცეს კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, საპონი, ტუალეტის ქაღალდი, გადასაფარებელი. ეს ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ ლაშა გეთიაშვილი იძულებული გამხდარიყო, გამოეტანა განცხადებები საგამოძიებო ორგანოებიდან“, – ამბობს ნანა ფილაური. მისივე თქმით, პატიმრებზე ფსიქოლოგიური წნეხი მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც ისინი რუსთავის მე-6 საპყრობილეში გადაიყვანეს. ამჯერად გეთიაშვილს ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებულ პატიმართან ერთ ოთახში ამყოფებდნენ, „იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ზურაბ ხაჩიძე და ლაშა გეთიაშვილი შხაპის მისაღებად გაიყვანეს ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებულ 7 პატიმართან ერთად“, – აცხადებს ადვოკატი.

ორივე პატიმარი ციხეში ყოფნისას ბე და ცე ჰეპატიტებით დაავადდნენ; ნანა ფილაურის თქმით, მათ არ უტარდებათ მკურნალობა. „ავადმყოფის ისტორია, რომელიც ძალიან ძნელად მოვიპოვე, განსაკუთრებით გეთიაშვილისა, წაღებული მქონდა სპეციალისტთან და სპეციალისტმა მომცა ასეთი განმარტება – ესენი დაუყოვნებლივ საჭიროებენ საკმაოდ სერიოზულ და ძვირადღირებულ მკურნალობას. მკურნალობის დაყოვნება არ შეიძლება“, – აღნიშნავს ფილაური.

არაადაკვატურ მკურნალობაზე საუბრობს არჩილ სახვაძის ადვოკატი, ლია მუხაშავრიაც. მისი თქმით, სახვაძეს, რომელსაც თავზე ფიცარი გადაამტვრიეს, დიდი ხნის განმავლობაში არ ჩასტარებია სათანადო სამედიცინო დახმარება.

რა ეტაპზეა გამოძიება? ამ შეკითხვით „სტუდია მონიტორმა“ მთავარ პროკურატურას მიმართა, თუმცა წერილი უპასუხოდ დარჩა. ასევე არ შესრულებულა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხათუნა იოსავას დაპირება, რომ შეკითხვებზე ზეპირ პასუხს გაგვცემდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, გიორგი ტულუშმა ქსნის ინციდენტთან დაკავშირებით ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს, დაიკითხა არაერთი პირი, თუმცა კონკრეტული შედეგი ჯერ არ ჩანს. ეს არის ჩემი ბოლო ინფორმაცია, თუმცა, ვიდრე შუალედურ ანგარიშზე მუშაობას დავამთავრებთ, ჩვენ ალბათ კვლავ გამოვითხოვთ ინფორმაციას. და შესაბამისად, ანგარიშში ჩაიდება ის ბოლო ინფორმაცია, რასაც ჩვენ მივიღებთ საგამოძიებო ორგანოებიდან“.

გეგუთის ინციდენტი

2009 წლის დეკემბერში ქუთაისში, გეგუთის კოლონიაში სცემეს 21 წლის პატიმარი, რამაზ პატარაია. ცემიდან ორ კვირაში, პატიმარმა დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი დაკარგა. იგი ახლა სპეციალური ეტლით მოძრაობს, მისი თქმით, რომ არა სხვა პატიმრების უანგარო დახმარება, იგი ელემენტარულ ჰიგიენურ საჭიროებებსაც ვერ დაიკმაყოფილებდა. პატარაიამ სატელეფონო საუბარში ის დღე გაიხსენა, როდესაც ციხის თანამშრომლები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რამაზი რეჟიმის დარღვევის გამო კარცერში ჩასვეს, როგორც თავად ამბობს, სრულიად უსამართლოდ. კარცერში მოხვედრის შემდეგ მან პროტესტის

ნიშნად ზედა კიდურები დაიზიანა, ამის შემდეგ მას დაზიანებული ადგილები დაუმუშავეს და „ფუქსებში“ გადაიყვანეს.

„ფუქსები არის ადგილი, სადაც არ არის არც სკამი, არც მაგიდა, არც საწოლი და არაფერი. ფუქსებში შემოვიდნენ ორნი, მათ ფეხებში მირტყეს, რომ წავქცეულიყავი. ახლაც მეტყობა მაშინდელი იარები. დავეცი, მერე სპორტული ზედატანი გადამაფარეს თავზე და მირტყამდნენ თავში და ხერხემალში. რამდენიმეწუთიანი ცემის მერე თავი დამანებეს და წავიდნენ, მერე ჩამოიყვანეს ექიმი, გამიკეთეს რაღაც წამალი, მეუბნებოდნენ, რომ გამაყუჩებელი იყო. მთელი ღამე ბეტონის იატაკზე გამათევინეს. მეორე დილით ჩემს ულუფაზე უარი რომ ვთქვი, ისევ კარცერში გადამიყვანეს. მერე ექიმი და ექთანი ჩამოვიდნენ. მოვთხოვე, რომ ჩემი დაზიანებები აღეწერათ და დაეფიქსირებინათ შესაბამის ჟურნალში, როგორც ხდება ხოლმე. უარი განმიცხადეს მაგაზე. თავის და ხერხემლის ძალიან ძლიერი ტკივილები მქონდა და ჩემი მოთხოვნით იმ დღეს ისევ საკანში დამაბრუნეს“, – ასე იხსენებს რამაზ პატარაია 2009 წლის დეკემბრის იმ დღეს.

ორიოდ კვირაში პატიმარმა დამოუკიდებლად გავლა ვეღარ შეძლო. მართალია, ის თბილისში, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს, მაგრამ რამდენიმე დღეში, ჯანმრთელობის მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესების გარეშე, კვლავ გეგუთში დააბრუნეს. მალე ნათელი გახდა, რომ რამაზ პატარაია სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა, იგი კვლავ თბილისში გამოამგზავრეს. მეორედ გამომგზავრებისას, როგორც თავად ამბობს, საბადრაგო დაცვის წევრმა მას თვალში იარაღის კონდახი ჩაარტყა. პატარაიას ცემის ფაქტი დასტურდება იმ დოკუმენტით, რომელიც ციხის საავადმყოფოში მეორედ მიღებისას მისი ფიზიკური დათვალიერების დროს შეიქმნა. ეს დოკუმენტი მისმა ადვოკატმა, ნინო ანდრიაშვილმა მოიპოვა და მასში წერია: „პატიმარ პატარაიას გარეგანი დათვალიერებით აღენიშნება შემდეგი დაზიანებები: მარცხენა თვალზე და ლოყაზე ნახეთქი ჭრილობა დაფარული ყავისფერი ფუფხით“, იგივე დასტურდება რამდენიმე დღის შემდეგ სახალხო დამცველის წარმომადგენლის, დანიელ მგელიაშვილის ოქმით: „რამაზ პატარაიას მარცხენა თვალის ქუთუთოზე აღენიშნება ძველი ნაჭრილობევი, ქუთუთოზე და მის ქვემოთ აქვს სიყვითლე, მარცხენა თვალის ქვემოთ ასევე აღენიშნება ძველი ნაჭრილობევი. მსჯავრდებულის განმარტებით, ზემოაღნიშნული დაზიანებები მიაყენეს საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებმა ამა წლის 29 იანვარს“.

პატიმრის თქმით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მას ფსიქოლოგიურად ატერორებდა დაწესებულების თანამშრომელი, ვაჟა ცხვედიანი: „უკვე მეორედ რომ ჩამომიყვანეს, ცხვედიანი

„... ინფორმაციას წამების შესახებ არ მოსდევს ადეკვატური და შესაფერი პასუხი, რაც დაუსჯელობის განცდას ბადებს. მათი თქმით, წამების საჩივრების უმრავლესობა უგულებელყოფილია, საუკეთესო შემთხვევაში საქმეში ჩართულ ოფიცრებს თანამდებობიდან ათავისუფლებენ“.

სიცოცხლის ხელყოფით მემუქრებოდა და მაიძულებდა, უარი მეთქვა ამ ყველაფრის საჯაროობაზე, გახმაურებაზე... თორემ ცუდი შედეგები იქნებოდა. დამიმატებდნენ სასჯელს, რაც მაქვს მოსჯილი, იმაზე მეტს გამიხდიდნენ და ა.შ. იყო იქ სიტყვიერი შეურაცხყოფა“, – ამბობს რამაზ პატარაია.

მან მაინც იჩივლა. 2009 წელს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით აღიძრა – პირველი 333-ე, ანუ ძალაუფლების გადამეტების მუხლი იყო, ხოლო მეორე 1413 – ანუ, დამამცირებელი, ან არაადამიანური მოპყრობის მუხლი. გამოძიება წელიწადნახევარი გაჭიანურდა, ამ ხნის მანძილზე პატიმარი შიმშილობდა კიდეც, იგი ითხოვდა, მისთვის სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებას, რომელსაც უნდა დაედგინა მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ხარისხი. ხუთდღიანი შიმშილობის და ცემიდან 6 თვის შემდეგ, 2010 წლის ივნისში, ჩაუტარდა კომპლექსური სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დროსაც თავის ტვინზეც გადაუღეს ენცეფალოგრამა, ხოლო ხერხემალზე – რენტგენი. ექსპერტიზის ჩატარებიდან წელიწადნახევარია გასული, თუმცა პატიმარს ექსპერტიზის დასკვნა ჯერაც არ ჩაბარებია.

2011 წლის აგვისტოში, რამაზ პატარაიას ცემის ფაქტზე გამოძიებამ ბრალი გეგუთის კოლონიის ორ თანამშრომელს წაუყენა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გამოძიება 333-ე მუხლით შემოიფარგლა და არ გამოიყენა არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის მუხლი. პატარაიას ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი ნინო ანდრიაშვილი გამოძიების გადაწყვეტილებას არაადეკვატურად მიიჩნევს. „არაადეკვატურია იქიდან გამომდინარე, რომ აქ საქმე გვქონდა წამებასთან, რამაც შედეგი გამოიღო – დღეს იგი არის ინვალიდის ეტლში და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია“, – ამბობს ანდრიაშვილი.

გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა იმ ფაქტით, რომ თბილისში გადმოყვანისას ბადრაგმა პატარაიას თვალში იარაღის ტარი ჩაარტყა. ანდრიაშვილის თქმით, გამომძიებელმა და პროკურორმა მას განუცხადეს, რომ პატარაიას არ შეუძლია იმ პირის ამოცნობა, რომელმაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თუმცა, ცნობილია, რომ პატარაია თბილისში 2010 წლის 29 იანვარს გადმოიყვანეს და გამოძიებას იმ დღეს მორიგე ბადრაგების ვინაობის დადგენა არ უნდა გასჭირვებოდა. დღეს მათი ვინაობის დადგენას თავად ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი ცდილობს. ამ ინფორმაციის მისაღებად მან სასჯელაღსრულების დეპარტამენტს სასამართლოშიც უჩივლა.

რამაზ პატარაია ამჟამად რუსთავის ყოფილ მე-2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება, იგი კვლავინდებურად სპეციალური ეტლით გადაადგილდება.

ახალგაზრდა პატიმარი დახმარებას ითხოვს, მას სჯერა, რომ შესაბამისი მკურნალობის შემთხვევაში ფეხზე გავლას შეძლებს. პატარაიას სურს, რომ მასზე სამოქალაქო ტიპის დაწესებულებაში ნევროპათოლოგმა ექიმებმა იზრუნონ, ფიზიოთერაპიისა და საჭიროების შემთხვევაში ქირურგიული ჩარევის საშუალებაც მხოლოდ სამოქალაქო ტიპის სამედიცინო დაწესებულებებშია. მის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში გადასაყვანად უმნიშვნელოვანესია წელიწადნახევრის წინ ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მოპოვება.

2010 წელს რამაზ პატარაია სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „ცენტრ ემპათიის“ სპეციალისტებმა მოინახულეს. მათ მიერ შექმნილ სამედიცინო დასკვნაში წერია: „სახეზეა გაურკვეველი გენეზისის კრუნჩხვითი განტვირთვები და გულყრითი აქტივობა; არ არის ჩატარებული ადეკვატური და აუცილებელი ინსტრუმენტული გამოკვლევები. აგრეთვე, არ არის გამოკვლეული ქვედა კიდურის პარესის გამომწვევი პათოგენური ფაქტორი... ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ პაციენტის გარშემო შექმნილი ვითარება, როგორც არაჰუმანური მოპყრობა და არასაკმარისი სამედიცინო მომსახურება“.

პატარაიას მამის წერილებზე სასჯელაღსრულების, აგრეთვე, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტების წარმომადგენლები პასუხობენ, რომ „პატიმარს უტარდება მკურნალობა სიმპტომატურად, საჭიროებისამებრ“, რომ „გაწეული სამედიცინო მომსახურება არის ადეკვატური და შესაბამისი“. თუმცა, რამაზი, რომელსაც ნევროლოგიური ხასიათის დაავადება სჭირს, რეალურად სპეციალისტის მეთვალყურეობის გარეშეა დარჩენილი, რადგან საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა შესაბამისი დარგის ექიმთა ნაკლებობას განიცდის. ამას სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშიც ადასტურებს:

„მსჯავრდადებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ერთი ექიმი ნევროპათოლოგი მუშაობს, ხოლო სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში ამ პროფილისა და გამოცდილების ექიმს, პრაქტიკულად, არ ვხვდებით. ცხადია, რომ ნევროლოგიური დახმარების კუთხით სისტემაში ღრმა კრიზისია შექმნილი. დაავადებათა დიდი ნაწილი ვერ დიაგნოსტირდება, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, ჩატარებული მკურნალობა და დაავადების მართვა ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე სამედიცინო სტანდარტებს. შემთხვევათა განხილვით იკვეთება, რომ არ არსებობს დროული და ადეკვატური ნევროლოგიური დახმარება, ადეკვატური გამოკვლევებისა და მკურნალობის მეთოდების ხელმისაწვდომობა. ერთი ნევროლოგის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს ნევროლოგიური პროფილის პაციენტთა ადეკვატურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას“, – აღნიშნულია სახალხო დამცველის ანგარიშში.

„მე არავინ მმკურნალობს. მე არაფერ წამლებს არ ვიღებ საერთოდ. მე ვიღებ დამამშვიდებელ პრეპარატებს“, – ასე დაასრულა პატიმარმა სატელეფონო საუბარი.

სტატისტიკა

როგორც ქსნის, ისე გეგუთის ინციდენტების შემთხვევაში, გამოძიებამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის 333-ე მუხლით, რაც ძალაუფლების გადამეტებას გულისხმობს. წამების, წამების მუქარის, აგრეთვე, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის მუხლებს პატიმართა ცემის ფაქტებს იშვიათად, ან საერთოდ არ უსადაგებენ ხოლმე.

„ეს მე არაერთხელ გავაკრიტიკე, ვინაიდან ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს სპეციალიზებულ მუხლებს, რომელიც ითვალისწინებს წამებას, დამამცირებელ მოპყრობას“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სახალხო დამცველმა, გიორგი ტუღუშმა. მისივე თქმით, ბოლო დროს იყო შემთხვევები, როდესაც პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეები არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის მუხლით აღძრა. „ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს სისხლის სამართლის საქმეები“, – ამბობს ტუღუში.

საქართველოში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეების არასათანადო გამოძიების შესახებ მიუთითებს ავტორიტეტული ორგანიზაციის „წამებისა და არადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის ევროპული კომიტეტი“ საკუთარ ანგარიშში, რომელიც 2010 წლის 21 სექტემბერს გამოქვეყნდა: „დელეგაციის ვიზიტისას ზოგიერთი თანამოსაუბრე იმ აზრისა იყო, რომ ინფორმაციას წამების შესახებ არ მოსდევს ადეკვატური და შესაფერი პასუხი, რაც დაუსჯელობის განცდას ბადებს. მათი თქმით, წამების საჩივრების უმრავლესობა უგულებელყოფილია, საუკეთესო შემთხვევაში საქმეში ჩართულ ოფიცრებს თანამდებობიდან ათავისუფლებენ. მიიჩნევა, რომ პროკურატურა წამების საჩივრებზე სისხლის სამართლის საქმეებს არ იწყებს. თუ სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება, იშვიათად არის გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი, რომელიც წამების კვალიფიკაციას ითვალისწინებს, უფრო ხშირად იყენებენ 333-ე მუხლს, რომელიც ძალაუფლების გადამეტების მუხლია. მეტიც, ამბობენ, რომ სასამართლო გარჩევები ჭიანურდება და ძალზე იშვიათ შემთხვევაში სრულდება დამნაშავედ ცნობით, ეს ასუსტებს რწმენას, რომ საჩივრებს წამების შესახებ გამოიძიებენ“.

ჩვენ უზენაესი სასამართლოდან გამოვითხოვეთ სტატისტიკური ინფორმაცია იმის შესახებ, პენიტენციალური სისტემის რამდენი მოხელე ცნეს დამნაშავედ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლით. როგორც აღმოჩნდა, 2006-08 წლებში ამ მუხლით მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ათი თანამშრომელი გასამართლდა. რაც შეეხება სასჯელაღსრულების სისტემას – არცერთი ციხის არცერთი მოხელე ამ მუხლით არ გაუსამართლებიათ.

სტატია მომზადებულია NED- ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ამავე თემაზე ვებზე

www.liberali.ge



ფოტორეპორტაჟი

მოიბი ითველი ძველი პოზღვემებით

ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

72 წლის მოსე ბაჩიაშვილი რთველის დროს სხვის ვენახებში დღეში 15 ლარად მუშაობს.

მევენახეები მუშახელად გლეხებს ქირაობენ, რომლებსაც პატარა ნაკვეთებზე მოწეული მოსავალი უკვე აღებული აქვთ

მევენახეები წელსაც სახელმწიფო სუბსიდიის იმედად დარჩნენ.

კახეთში მოსავლის რეკორდულ რაოდენობას – 150 ათას ტონა ყურძენს ელოდებიან.

ძირითადი პრობლემა, რომელსაც გლეხები უჩივიან, რქაწითელის დაბალი ფასია – ქარხნები მევენახეებს ერთ კილოგრამში 45 თეთრს უხდიან: აქედან 30 თეთრს ქარხანა იხდის, 15 თეთრი კი სახელმწიფოს სუბსიდიიდან გამოიყოფა. საფერავის ფასი 65 თეთრია (40 თეთრს ქარხანა იხდის, 25 თეთრს კი სუბსიდია). ჯამში, წლევანდელი რთველისთვის სახელმწიფომ 15 მილიონი ლარი გამოყო.

რთველის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელი ტარიელ გაბუნია ამბობს, რომ ფასს ბაზარი არეგულირებს: მოსავალი ძალიან დიდია, ფასიც შეიძლება შემცირდეს. თუმცა გაბუნია გამორიცხავს, რომ გლე-

ხებმა მოსავლის ჩაბარება ვერ მოასწრონ:

„ბუნებრივია, კილოზე 10 ლარიც რომ იყოს, მევენახეები 12 ლარის მიღებას მოისურვებენ“, – ამბობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი.

ნუგზარ დვალს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში საფერავის და რქაწითელის ვენახი აქვს. შხამ-ქიმიკატებსა და ზოგადად, ვენახის მოვლაზე გაწეული დიდი ხარჯის მიუხედავად, ამბობს, რომ ეს საქმე მაინც მომგებიანია, ამასთან, იმედოვნებს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მევენახეები სახელმწიფო სუბსიდიაზე სულ უფრო ნაკლებად იქნებიან დამოკიდებულები:

„რა თქმა უნდა, ყველას გვირჩევნია, რომ არა ნედლეული, არამედ პროდუქცია გავყიდოთ, მოგება გაცილებით მეტი იქნება, მაგრამ ამ ყვე-

თელავის №1 ღვინის გადამამუშავებელ ქარხანაში ინფრასტრუქტურა ათეული წლებია არ გამოცვლილა

ლაფერს ძვირადღირებული ტექნიკის ჩამოტანა, დამონტაჟება და საქმის გაძღოლა სჭირდება – მწირი ფინანსებით ამას ნამდვილად ვერ გავწვდებით“, – ამბობს დვალი.

მისგან განსხვავებით, მცირე ფართობის მქონე გლეხები ამბობენ, რომ ხანდახან ვაზის მოვლაზე დახარჯულ თანხასაც ვერ იღებენ.

„45 თეთრი ძალიან ცოტაა – რაც ამას შეწამვლა და მოვლა-პატრონობა უნდა... შარშან მოსავალი ნაკლები იყო და ფასიც 60 თეთრს აღწევდა. ვინც ქალაქში წაღება მოახერხა, მაგათ ლარადაც კი ჩააბარეს. წელს ასეთი ამბავია, მაგრამ ეგ ჩვენი მარჩენალია და სხვა რა უნდა გავახაროთ აქ?“, – ამბობენ იყალთოელი გლეხები.

მალხაზ ჭკადუა

იზოლდა ჯიმშიტაშვილი 35 წელზე მეტია, რაც თელავის ღვინის №1 ქარხანაში მოსავალს აბინავებს

ქაქი

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ამ სათაურს ეპატაჟთან საერთო არაფერი აქვს. პირიქით, ეს სათაური პირადად ჩემთვის, ისევე, როგორც ჟურნალისათვის, საკმაოდ სარისკო უნდა იყოს, – ჩემზე იტყვიან, რა ქაქიც თავში აქვს, იმას წერსო, ხოლო ჟურნალზე კი, რა ქაქიცაა იმ მასალას ბეჭდავსო. რაა ამაში კარგი? არც არაფერი! არადა, ცოტა ხანი მართლა ვცდილობდი სხვა სათაური მომეძებნა ამ ტექსტისთვის, მაგრამ მერე, როდესაც მივხვდი, რომ არასწორ გზას დავადექი, გადაწყვეტილებაც სწრაფად მივიღე, ბოლოს და ბოლოს, ეს ტექსტი მართლა ქაქზეა და „ბურჟუაზიის ფარული ხიბლი“ რომ დამერქმია, სწორი არ იქნებოდა. შესაბამისად, – ქაქი, რადგანაც სწორედ ქაქზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

ერთ-ერთ ჩემ ტექსტში მე უკვე მოგახსენეთ, რომ ძირითადად ვწერ იმაზე, რასაც ქუჩებში ხეტიალის დროს ქალაქი „მჩუქნის“-მეთქი. ქალაქი კი, ყველაფერთან ერთად, ყოველ დღე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, პირველს, რასაც ქუჩაში გასულს მახვედრებს, ქაქია. სხვადასხვა ფორმის, ზომის და შეფერილობის ქაქი. აქ ალბათ უკვე მიხვდით, თუ რაზე მინდა ვილაპარაკო და იმედი მაქვს, რომ უმრავლესობა, ყოველი შემთხვევისათვის, ისინი მაინც, ვინც ფეხით ამჯობინებს ქალაქში გადაადგილებას, უმალ დამეთანხმებით და საჭიროების შემთხვევაში მხარშიც ამომიდგებით, რადგანაც არ მეგულება არც ერთი ფეხით მოსიარულე თბილისელი, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ფეხი არ ჩაუდგამს რომელიმე თანამოქალაქის უერთგულესი მეგობრის მიერ სპეციალურად ჩვენთვის, თბილისელებისათვის, ნაბოძებ ქაქში. უფრო მეტიც, ყველა ჩვენგანს გვინახავს თუ როგორი ნაზი, მოსიყვარულე მზერით დასცქერიან ჩვენი თანამოქალაქეები თავიანთ მოკარკლულ და თვალებგადმოყრილ უმცროს, ოთხფეხა მეგობრებს იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელნი ჩვენთვის ქაქის ჩუქებით არიან დაკავებულნი. „ღმერთო, ნუთუ ამის დროც მოვიდა?!“ – იკითხავს „ჭეშმარიტი თბილისელი“ ჩემი უსაყვარლესი პერსონაჟი, – ნუთუ ჩვენ, ძირძველი ქართველი ერი ასეთ რამეებზეც უნდა ვხარჯავდეთ დროს?“ არ ვიცი, ეწყინება თუ გაუხარდება, მაგრამ ჭეშმარიტ თბილისელს ვეტყვი, რომ დიახ, ეს დროც მოვიდა და რაც უფრო სწრაფად გადავწყვეტთ ამ პრობლემას, მით უკეთესი ჩვენთვის, ყველასთვის. „კი, მაგრამ“, – შეიძლება

აღშფოთდეს „ჭეშმარიტი თბილისელი,“ – „ჩვენ ხომ ჯერაც ვერ გავმკლავებივართ ქაქს ჩვენსავე სულებში, გულებში, ტვინებში, რა პრობლემაზეა აქ ლაპარაკი? არა და არა, ამისთვის ჯერ მზად არ ვართ!“ პრინციპში, შემიძლია ვთქვა, რომ მისი აღშფოთება ჩემთვის გასაგებია. ბოლოს და ბოლოს, მთელი ჩვენი ცხოვრება სხვა რაა, თუ არა სხვადასხვა მასშტაბის ქაქისგან თავის დაღწევის მცდელობა (გახსოვთ ეს ცნობილი გრაფიტი, – „ცხოვრება ქაქის სენდვიჩივითაა, რაც უფრო მეტ პურს დაითრევ, მით უფრო ნაკლები ქაქი შეგხვდება“), მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ეს მარადიული თემაა, მე კი ზედმიწევნით ტრივიალურ რამეზე მოგახსენებთ, კერძოდ კი, – ვინაიდან თბილისელ ფეხით მოსიარულეთათვის ქუჩებში მიმოფანტულ ქაქებს შორის მანევრირება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, იქნებ მივბაძოთ დანარჩენ ევროპულ ქვეყნებს და ძაღლების მოტანილი ჩვენ, ძაღლების პატრონებმა მოვაცილოთ თბილისის ქუჩებს? ეს მართლა მარტივი რამაა, – უკეთეს შემთხვევაში, თუ ქალაქის მესვეურები ამას თავს მოაბამენ, საჭიროა ქუჩებში დაიდგას სპეციალურად ამისთვის გამიზნული კონტეინერები ხელთათმანის ფორმის ცელოფნის პარკებით. მოქაქა ჯეკამ? ითრევ ამ ხელთათმანს, დასწვდები ქაქს და ხელთათმანიანა გადაუძახებ სანაგვე ყუთში. მარტივია, არა? უარეს შემთხვევაში კი, ვიდრე ეს ყველაფერი მოხდება, იქნებ ზრდილობიანად მოვუწოდოთ ძაღლების პატრონებს, რომ ცელოფნის პარკები ჩაიდონ ჯიბეში, როდესაც თავიანთი მომცრო მეგობრები სასეირნოდ გაჰყავთ ხოლმე. მესმის, სად ქართველი და სად ჯეკას ქაქი, მაგრამ მათ დასაიმედებლად ვიტყოდი, რომ თუ ეს მოვახერხეთ, პატარა ულუფა ქაქისგან მაინც განვთავისუფლდებით და მნიშვნელოვან ქაქსაც გაორმაგებული ძალებით შევუტევთ.

მანამდე კი, სანამ მივიღებთ გადაწყვეტილებას, გვეკადრება თუ არა ასეთი მდიდარი ისტორიის ერს ჯეკას ქაქთან ახლო კონტაქტში შესვლა, აი, ამ ჩემ გადაღებულ სურათს დახედეთ. გიჟი ვეგონე ამხელა კაცი შლაპაში, ჩამუხლული, ფოტოაპარატმომარჯვებული, ქაქიდან ქაქისკენ რომ მივიწევდი და „კრუპნად“ ვუღებდი სურათებს, მაგრამ აბა, რა მექნა, ხომ ვერ დავურეკავდი ჟურნალის მთავარ ფოტო-რედაქტორს, ჩემს კეთილ ლევან ხერხეულიძეს, და ხომ ვერ ვეტყოდი, – ლევან, თუ ძმა ხარ, ერთი ქუჩაში გადი და ძაღლის ქაქი გადამიღე, რა?!

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE